ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2022 წელი, 27 ივლისი, №8 (6553)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 60 თეთრი

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით საინტერესო ღონისძიება გაიმართა

28 ივნისს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში საქართველო-ამერიკის 30 წლიანი დიპლომატიური ურთიერთობებისა და ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 185 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

აღნიშნულ ღონისძიებას ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, გივი ზაუტაშვილი და აშშ-ს საელჩოს საზოგადოებრივი საქმეების უფროსი ქეთრინ შვაიცერი ესწრებოდნენ. აშშ-ს საელჩოს ალუმნი საგრანტო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტის მონაწილეებს ღონისძიებაზე სერტიფიკატები გადაეცათ.

საღამო ამერიკული სამხედრო ბენდის კონცერტით დასრულდა.

შილდაში და საბუეში გზების რეაბილიტაციის სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, გივი ზაუტაშვილი, მერის პირველ მოადგილესთან, ზურაბ ნემსაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ შილდის ამბულატორიიდან ელიზბარაშვილის ქუჩამდე და სოფელ საბუეში საბავშვო ბაგა-ბაღთან მისასვლელი გზების მოასფალტების პროცესს ადგილზე გაეცნო.

აღნიშნული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 303 140 და 108 890 ლარს შეადგენს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყვარლის საპატიო მოქალაქე, დამსახურებული ჟურნალისტი, საუკეთესო შედევრების ავტორი ვალერი ვასილის ძე ზურაშვილი და თანაუგრძნობს მის ოჯახს და ახლობლებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდისა და პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა უფრო მეტი დახმარება მიიღონ სახელმწიფოსაგან ფერმერებმა

ყვარლის საზოგადოებისათვის ცნობილ და კოლორიტულ პიროვნებას, რომელმაც მრავალი წელი იმუშავა პასუხსაგებ თანამდებობაზე ყვარლის მუნიციპალიტეტში, ახლახან 80 წელი შეუსრულდა. ადამიანი, რომელიც ათეული წლები ხალხის სამსახურში იმყოფებოდა, დაუღალავად იღვწა, ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა შთამომავლობისთვის, უდავოდ დფასებას იმსახურებს. ამიტომაც შევეხმიანეთ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში მცხოვრებ ისაბალ სოლოღაშვილს და ვთხოვეთ ინტერვიუს ჩასაწერად დრო გამოენახა, რაზედაც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

– ბატონო ისაბალ, თქვენ 80 წელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოების წარმომადგენელი ბრძანდებით და პასუხსაგებ თანამდებობებზეც მოგიწიათ მუშაობა, ამიტომ უპრიანი იქნება ჩვენი საუბარი დავიწყოთ თემით, თუ როგორ ვითარდებოდა ყვარელი და რა ძალისხმევით შეძლო თქვენმა თაობამ, ყვარლის მუნიციპალიტეტი ასეთი მიმზიდველი და ეკონომიურად ძლიერი ყოფილიყო.

დავიწყოთ კავშირგაბმულობის სისტემით, რომლის ხელმძღვანელიც ყვარელში წლების განმავლობაში თქვენ ბრძანდებოდით, რა გაკეთდა სატელეფონო და სხვადასხვა სერვიზებით მომსახურების გასაუმჯობესებლად?

– საქმიანობა დავიწყე 1961 წლიდან, მათ შორის სახელმწიფო სამსახურში ვიმუშავე უწყვეტი სტაჟით 40 წელი. ყველა სამუშაოს ჰქონდა თავისი სირთულეები, მაგრამ თავს წარმატებით ვართმევდი. კავშირგაბმულობის სისტემაში ვიმუშავე 15 წელი, სრულიად ახალგაზრდა, 27 წლის დამნიშნეს რაიონის კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსად, რომელიც წლების განმავლობაში ზარალით ამთავრებდა სამეურნეო წლებს, მე პირველ წელსვე ზარალიანი ორგანიზაცია გავხადე მომგებიანი. ასევე ყველა შემდგომ წლებში ვზრდიდი მოგებას. რაიონული კვანძი და სოფლებში არსებული კავშირგაბმულობის განყოფილებები რაიონის მოსახლეობას ვემსახურებოდით საფოსტო კავშირით, ტელეფონით, ტელეგრაფით, რადიოთი და სოიუზპეჩატით. ქ. ყვარელში 200 ნომრით გავაფართოვე ავტომატური სატელეფონო სადგური, ასევე რამოდენიმე სოფელში დავამონტაჟეთ ავტომატური სატელეფონო სადგურები და გავზარდეთ სატელეფონო აბონენტთა ქსელი. სოფლად ორი კავშირგანბულობის განყოფილება გავხსენი. პირადად მე და ჩემს სამსახურს მნიშვნელოვანი წვლილი მიგვიძღვის სახალხო მეურნეობის ამ დარგით რაიონის გაძლიერებაში.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

წარმატება არის, რამდენად დიდი – არ ვიცი, შრომა რომ გიფასდება, მგონი, უფრო იმის სიხარულია

ლიტერატურული პრემია „საბას“ წლევანდელი გამარჯვებული ნანა აბულაძე, რომელიც წარმოშობით ყვარლელია

საამაყოა, რომ ოცდამეერთე საუკუნის ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსებს შორის ერთერთი ნანა აბულაძეა, რომელიც ლიტერატურული პრემია „საბას“ წლევანდელი გამარჯვებული გახდა ნომინაციაში – წლის საუკეთესო დებიუტანტი.

როდესაც ერთერთი რეცენზენტი გიორგი ლობჟანიძე ნანას სადებიუტო რომანი „აკუმი“-ს შესახებ საუბრობს, ხაზს უსვამს, რომ – „საბას“ პრემიის ჟიურისათვის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო, ხოლო მკითხველისათვის ერთი ყველაზე დამაინტრიგებელი ნომინაცია დებიუტია, რადგან ჟიური აქ ხმას აძლევს და ირჩევს არა ერთ კონკრეტულ წიგნს, არამედ ამ წიგნში თუ ავტორში მთვლემარე სამომავლო პერსპექტივას, სტარტს, რომელიც მომავალში ქართული ლიტერატურის განსაკუთრებულ გზად უნდა გაიკვალოს...

... სასიხარულოა, რომ „საბას“ ჟიურის აღუნიშნავი არ დარჩენია რომანი, რომელიც კმაყოფილებაზე მეტად შეიძლება მოლოდინს აჩენდეს, მოლოდინს, რომ ნანა აბულაძის სამწერლო კარიერა სწორი გეზით განვითარდება და ეს საბოლოოდ ქართული ლიტერატურის გამარჯვება იქნება“.

დარწმუნებული ვარ, ნანა აბულაძეს მომავალშიც მრავალი წარმატება ელის და არაერთხელ გაახარებს მკითხველებს, ახლობლებსა და გულშემატკივრებს. მათ შორის ყვარელს და ყვარელელებსაც, სადაც ნანას ფესვებია და რაზეც დიდი სიყვარულით საუბრობს...

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

ვაზია ჩვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარი

აგრარული ქვეყნისათვის რომ სოფლის მეურნეობის განვითარება და აღორძინება ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანია, ეს ყველამ კარგად ვიცით. საქართველოს მთავრობა ყველანაირად ცდილობს ხელი შეუწყოს მის აღმავლობას. ყველამ ერთად, ჩვენი შრომით უნდა განვავითაროთ და აავაღორძინოთ სოფლის მეურნეობა. მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის დაწესებულია ეკონომიურად დაბალპროცენტიანი და მრავალწლიანი საბანკო სესხები, რომლითაც სარგებლობენ ფერმერები. სწორედ ამ შეღავათიანი საკრედიტო სესხით ისარგებლა ყვარელში მცხოვრებმა ახალგაზრდა, დამწყებმა ფერმერმა, პროფესიით სურსათის ტექნოლოგმა გივი ალექსიშვილმა და 3,5 ჰექტარზე გააშენა ვენახი. თუ რატომ გაუჩნდა სურვილი ვენახის გაშენებისა, რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას, რომელსაც ამ საქმიანობაში გვერდით უდგას მეწარმე მამა, ბატონი ალექსანდრე ალექსიშვილი.



– გივი, ვიცით, რომ მთელი ოჯახი ხართ ჩართული სავაჭრო სამეწარმეო საქმიანობაში და ეკონომიურად არც ისე გიჭირთ, რატომ მოინდომე შედგომოდი ამ შრომატევად საქმეს, რამ გადაგაწყვეტინა?

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს უნებურად გამახსენდა ჩემი საყვარელი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის სათავეც საკუთარი თაოსნობაა და ძალღონე საკუთარი მარჯვენა“. ვფიქრობ, ნათქვამს კომენტარი არ სჭირდება. მინდოდა მამის იმედზე არ მეცხოვრა და გამომეყენებინა საკუთარი შესაძლებლობები. ასეც მოვიქეცი.

– როდის ელოდები მოსავალს?

– გასულ წელს პირველი მოსავალი, დაახლოებით 5 ტონა ყურძენი მივიღე. მართალია ეს მცირე იყო, მაგრამ დიდი სტიმულის მომცემი აღმოჩნდა. შრომა გა-

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდისა და პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა უფრო მეტი დახმარება მიიღონ სახელმწიფოსაგან ფერმერებმა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

– გარკვეული წლები მოგიწიათ ყვარლის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობაში მთავარი ეკონომისტის პოზიციაზე მუშაობა, სადაც ბაზელნიკის და ყახალნიყის ვარდის მოვლა-პატრონობა და ამ კულტურებიდან ზეთის მიღება ხდებოდა. სამწუხაროდ, მეტად სასარგებლო კულტურების მოყვანა აღარ ხდება ქვეყანაში. რამდენად სასარგებლო იყო მოსახლეობისა და ადგილობრივი ბიუჯეტისთვის?

– კავშირგაბმულობის სისტემიდან რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გადამიყვანეს ყვარლის ეთერზეთების მეურნეობა ქარხანაში, სადაც ვიმუშავე 22 წელი – საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროსად, ბოლოს დირექტორად და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. მეურნეობა-ქარხნის მიწის 874 ჰექტარ სავარგულში ვაწარმოებდით ეთერზეთოვან კულტურებს, კერძოდ: ვარდს, გერანს, რეჰანს, კამას, შალფეის და დაფნას, საიდანაც ვუშვებდით ჩვენსავე ქარხანაში ეთეროვან ზეთებს. მეურნეობა-ქარხანა იყო აგროსამრეწველო და ყოველ სამეურნეო წელს ვამთავრებდით მოგებით, რაიონში ვიყავით ერთ-ერთი წარმატებული მომგებიანი საწარმო და ჩვენი წვლილი შეგვქონდა რაიონის ბიუჯეტის შევსებაში. სამწუხაროა, რომ ეს დარგი ამ გარდამავალ პერიოდში მთლიანად გაქრა და კერძო სტრუქტურაშიც კი არავინ აწარმოებს ეთერზეთოვან კულტურებს. მოსახლეობიდან ბევრ ადამიანს მოჰყავდა რეჰანის კულტურა და სოლიდურ ანაზღაურებასაც იღებდნენ.

– თქვენ მომსწრე ხართ „ჩალის“ ტბაზე ჩატარებული შაბათობების, რომლის ინიციატორიც, მაშინდელი ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი, გივი ზაუტაშვილი ბრძანდებოდა, როგორ გაიხსენებთ ამ პერიოდს?

– კომუნისტური წყობის პერიოდში ზოგიერთი კამპანიური ხასიათის სამუშაოების შესრულებისათვის რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ეწყობოდა შაბათობები. გარკვეული სამუშაოების შესრულებას გვავალებდნენ ორგანიზაციებს, რითაც ბევრი სასიკეთო საქმეები გაკეთდა. ამაში ცუდს მე ვერაფერს ვხედავ. ავიღოთ თუნდაც „ჩალის“ ტბა და „ილიას“ გორა, რომლებზეც ძირითადი სამუშაოები შაბათობებით ჩატარდა ცხონებული გივი ზაუტაშვილის თაოსნობით

– ყვარლის მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესებში აქტიურმა მონაწილემ და დიდი გამოცდილების მქონე პიროვნებამ, რატომ გადაწვიტეთ ფერმერის რთული პროფესიის არჩევა?

– სახალხო მეურნეობის ხუთი ძირითადი დარგიდან მე ნამუშევარი ვიყავი სამ დარგში: კავშირგაბმულობაში, მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში. ჩემი გამოცდილებით, უმეტეს შემთხვევაში დარგმა გატაცება, შეყვარება იცის. მე როგორც სოფლის მაცხოვრებელმა, სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ, ჩემს სოფელში სხვა საქმიანობაც ნამოვიწყე, მაგრამ მაინც ჩემი გამოცდილებით დიდ უპირატესობას ვაძლევ სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველად წარმოებას. ჩემი სურვილი იყო მეწარმოებინა რაც შეიძლება სოფლის მეურნეობის მეტი პროდუქტი, რათა ჩემი წვლილი შემეტანა ქვეყნის აღმავლობაში.

– ფერმერულ მეურნეობაში რა სახის კულტურები მოგყავთ და რომელი უფრო შემოსავლიანია?

– ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ფერმერი უფრო წარმატებულია თუ აწარმოებს მრავალი სახის სოფლის მეურნეობის კულტურებს, რადგან მოუსავლიანობის შემთხვევაში ზოგიერთი კულტურა მაინც გაუმართლებს და გარკვეული შემოსავალი ექნება კვლავწარმოებისთვის. მე პირადად გავაშენე თხილი 20 ჰექტარზე, ტყემალი, ალუჩა – 6 ჰექტარზე, ვენახი –7 ჰექტარზე, ატამი-ვაშლატამა– 5 ჰექტარზე, ხურმა– 10 ჰექტარზე,

ქლიავი– 4 ჰექტარზე, ბალი-ალუბალი– 4 ჰექტარზე და სხვადასხვა სახის კულტურები. აქედან ბოლო წლებში მაღალშემოსავლიანი ატამი, ვაშლატამა, ტყემალი და თხილის კულტურა გახდა.

– სანერგე მეურნეობამ თუ გაამართლა?

– სამ წელს ვაწარმოებდი მრავალწლიანი ნაგრავების 8 სახის ნერგს და სადედე პლანტაციაც გავაშენე თურქეთიდან შემოტანილი ნერგებით. მივაღწიე გარკვეულ წარმატებას, ვაწარმოებდი საუკეთესო ხარისხის ნერგებს, მაგრამ რეალიზაციას ვერ ვუკეთებდი, ზოგჯერ იძულებით მიხდებოდა მე თვითონ გამეშენებინა ჩემივე ნერგით პლანტაცია. ასე, რომ სამეურნეო წლებს ვამთავრებდი ზარალით. ჩემი აზრით, საქმიანობას როცა ვიწყებთ, პირველად უნდა შევისწავლოთ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის გზები, თუ რეალიზაციას ვერ მივაღწიეთ, ყოველთვის წარუმატებელი ვიქნებით. ჩემს შემთხვევაში სანერგე მეურნეობამ არ გამიმართლა, ნერგს ვერ ვყიდდი და სამი წლის შემდეგ გავაუქმე.

– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი პირველმა თქვენ შექმენით, სახელწიფოსგან თუ მიიღეთ დახმარება და კმაყოფილი თუ ხართ შედეგით?

– მევენახეობის პროგრამაში მივიღეთ მონაწილეობა, სახელმწიფომ 100 ტონა ყურძნის გადამუშავებისათვის გამოგვიყო საჭირო ინვენტარი. ყველა პირობას ვასრულებთ, ღვინოს ვაწარმოებთ, მაგრამ აქაც რეალიზაცია ჭირს.

– ყველაზე მეტად რომელი პრობლემები გაწუხებთ და დახმარება თუ გჭირდებათ მათ მოგვარებაში?

– მე ვარ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო ათი წელია დიდი დახმარებებია სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის, ყველა საკითხი მოგვარებულია და ვაწარმოებთ უამრავ პროდუქციას, მთავარია მისი რეალიზაცია, რაშიც დახმარება გვჭირდება. ჩვენ ვაწარმოებთ, მაგრამ არ ვიცით, რომელი კულტურა გავაშენოთ, რომელ წელს რა ფასად გავყიდით, გვიხდება სტიქიურ ან ბითუმად მოვაჭრეებთან, ან ბაზარში მათი გაყიდვა. ე. ი. მთელი წელი ვეწევით ხარჯებს და შედეგი რა გვექნება, არ ვიცით. მაგალითად, 2020 წელში თხილი გაყიდე ერთი კილოგრამი 9 ლარად, ხოლო 2021 წელში – 5 ლარად. ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ მოსავალი უფრო მეტი მივიღე წინა წელთან შედარებით თხილის რეალიზაციიდან შემოსავალი თითქმის განახევრდა და არასახარბიელო შედეგით დავამთავრე სამეურნეო წელი. ფასები არასტაბილურია, კერძო შემსყიდველმა კომპანიებმა რომ დაადონ თხილს 2 ლარი ფასი, იძულებით ყველას მიგვატანინებენ სარეალიზაციოდ. ავიღოთ ვენახის კულტურა. მე, როგორც ეკონომისტი, ვამტკიცებ, რომ თუ გავითვალისწინებთ ვენახის კულტურაში ტექნოლოგიური რუქის გათვალისწინებით ყველა მატერიალურ და შრომით დანახარჯებს, სხვადასხვა სამეურნეო და ზედნადებ ხარჯებს, ზოგჯერ სხვადასხვა დაავადებებით მიღებულ ზარალს, ყურძნის ფასი ყველა სხვა კულტურასთან შედარებით დაბალია და ერთეულ ჰექტარზე ფერმერი ყველა სხვა კულტურასთან შედარებით დაბალ შემოსავალს ღებულობს, ამიტომ აქაც რეალიზაციის საკითხებში საჭიროა სახელმწიფოს დახმარება, ყურძნის ფასის გაზრდა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდისა და პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა უფრო მეტი დახმარება მიიღონ სახელმწიფოსგან ფერმერებმა.

– შვილები და შვილიშვილები სად მუშაობენ და თუ გეხმარებიან მეტად რთულ და შრომატევად საქმიანობაში?

– მყავს ორი შვილი, რომლებიც თბილისში მუშაობდნენ. უფროსმა დედის გარდაცვალების შემდეგ მარტო რომ დავრჩი, თბილისში დატოვა სამსახური და ჩამოვიდა სოფელში, მეხმარება მეურნეობის საქმიანობაში. თან გააკეთა 0,5 ჰექტარზე სათბური და აწარმოებს ჟოლოს და მარწყვს. უმცროსი ვაჟი წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო დაცვის სამსახურში და სამხედრო პოლიციაში. ამჟამად ვიცე პოლკოვნიკის წოდებით გავიდა პენსიაზე, ისიც ჩამოვიდა სოფელში და მეხმარება ყველა სახის საქმიანობაში.

მყავს ოთხი შვილიშვილი, რომელთაგან ორმა დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. ორი ქალიშვილი ამჟამად სამედიცინო უნივერსიტეტის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები არიან. ერთმა ქალიშვილმა დაამთავრა ბენდუქიძის უნივერსიტეტი და ამჟამად მუშაობს თბილისში „თიბისი“ ბანკის სათაოში, ანალიტიკოსია, ხოლო ბიჭი მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

– ბატონო ისაბალ, უღრმეს მადლობას გიხდით საინტერესო საუბრისათვის, გილოცავთ 80 წლის იუბილეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, დასახული მიზნების ასრულებას, ულევ წარმატებებს, გახარებას შვილებში და შვილიშვილებში.

P.S. ბატონმა ისაბალმა იუბილეზე ყვარლიდან მამუკა ბერიაშვილი, ტარიელ გრატიაშვილი, ზურაბ ბუკია (ზურაბ ჭავჭავაძის შვილიშვილი) და მათთან ერთად მეც მიმიწვია. დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები პირველ რიგში ხეხილის ბაღს ესტუმრნენ და აღტაცებული დარჩნენ ვაშლის მოცულობის, შავი ქლიავის უგემრიელესი გემოთი. შემდეგ ღვინის ქარხანაც დაათვალიერეს და სუფრას მივუსხედით. იუბილემ მხიარულ ატმოსფეროში ჩაიარა, რასაც განაპირობებდა ვალერი ვარდაშვილის მართლაც გამორჩეული და უბადლო თამადის იუმორი და ლექსები.

ალექსანდრე გიგილოშვილი

ხორბლის თვითუზრუნველყოფის საკითხი და მისი გადაწყვეტის გზები

მსოფლიოს სასურსათე წარმოებაში ხორბლის კულტურას პირველი ადგილი მყარად უჭირავს და პოზიციებს არ თმობს. ეს შემთხვევითობა არ არის. ხორბალი ერთადერთი კულტურაა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას ორგანიზმისათვის საჭირი საკვები ელემენტებით.

ხორბალში არსებული შეუცვლელი ამინომჟავების ფართე სპექტრი უზრუნველყოფს ადამიანის, როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებას. მცენარეული ცილებით ადამიანთა დაკმაყოფილების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო სწორედ ხორბალია. ამ მნიშვნელობის გამო მსოფლიოს მეცნიერებმა 40 ათასზე მეტი ჯიში შექმნეს, რომლებიც წარმატებით ემსახურება მსოფლიოს მოსახლეობას.

ხორბლის წარმოების სათავეში მყარად დგას შემდეგი ქვეყნები: ჩინეთი (126 მლნ. ტონა), ინდოეთი (96 მლნ. ტონა), რუსეთი (60 მლნ. ტონა), აშშ (55 მლნ. ტონა) და საფრანგეთი (39 მლნ.ტონა).

საქართველოში ხორბლის ძირითადი მომწოდებელია რუსეთი და უკრაინა. დღევანდელი მდგომარეობა აუცილებელს ხდის განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ხორბლის თვითუზრუნველყოფის საკითხს, რომელიც მთავრობის მიერაც სწორად არის მოცემული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაში.

ეს საკითხი განსაკუთრებულად საინტერესოა, რადგან საქართველოს დამოკიდებულება ხორბლის კულტურასთან, მსგავსად ვაზისა, სრულიად განსხვავებულია. მსოფლიომ დიდი ხანია აღიარა, რომ საქართველო ხორბლის წარმოშობის პირველადი კერაა. ხორბლის ენდემური სახეობების და აბორიგენული ჯიშების ბიომრავალფეროვნება უნიკალურია მსოფლიოში. ქართული ხორბლები ატარებენ უნიკალურ თვისებებს, რომელსაც მსოფლიოს მეცნიერები წარმატებით იყენებენ სელექციაში.

ეს უნიკალური თვისებებია:

ჩელტა ზანდური, დიკა-კარტლიკუმი და ჰექსაპლოიდური ზანდური (ჟუკოვსკი) რომელიც, ხასიათდება სოკოვანი დაავადების მიმართ ფენომენალური კომპლექსური იმუნიტეტით;

ჩელტა ზანდური გამოირჩევა მარცვალში მაღალცილიანობით და პურცხობის მაღალი ხარისხით;

ენდემური სახეობა კოლხური ასლი ხასიათდება ნაცრის სხვადასხვა რასისადმი გამძლეობით;

ხორბალი მახა ხასიათდება მცენარეზე ფოთლების დიდი მასის განვითარებით და ღეროს სიმტკიცით, კარგად იტანს ჭარბ ტენიანობას.

საქართველოს რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშ-პოპულაციები გამოირჩევა ინტენსიური ტიპის ჯიშებისთვის საჭირო აუცილებელ ნიშან-თვისებების განმაპირობებელი გენებით:

1. მოკლე და მტკიცეღეროიანობა;
2. დაავადებებისადმი გამძლეობა;
3. მცენარის სწრაფად განვითარება;
4. ფერტილობის აღდგენა;
5. მომწიფებისას მარცვლის ცვენადობისადმი გამძლეობა;
6. თავთავიდან მარცვლის ადვილად გამოლეწვა;
7. მარცვალში ცილის და შეუცვლელი ამინომჟავების გადიდებული შედგენილობა;
8. მსხვილ მარცვლიანობა;
9. დაფქვისა და პურცხობის მაღალი ხარისხი;
10. გრძელთავთავიანობა;
11. მცენარის ფართოფოთლიანობა;
12. მსხვილთავთავიანობა;
13. ადრეულობა;
14. გამომცხვარი პურის ხანგრძლივად შენახვისუნარიანობა.

ქართველი ხალხის ისტორიული გამოცდილება ხორბლის წარმოებაზე ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მოთხოვნილებაც ხორბლის პროდუქტებზე, სხვა ხალხისაგან განსხვავებით გაცილებით მაღალია. ყოველწლიური მოთხოვნილება 800 ათასი ტონაა.

სამწუხაროდ ადგილობრივი წარმოება მხოლოდ 12%-ს აკმაყოფილებს.

ხორბლის ასეთი დაბალი წარმოება გამოწვეულია, სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური პირობებით. ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კლიმატური პირობების ცვლილება. კლიმატის ცვლილებასთან ერთად ტრანსფორმაციას განიცდის სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაც. აღნიშნული პრობლემის საპასუხოდ დღის წესრიგშია სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი ახლებური მიდგომა, რაც გულისხმობს დარგის გარდაქმნას იმგვარად, რომ გაიზარდოს მისი ეფექტიანად მართვისა და მდგრადი განვითარების შესაძლებლობები. ის უნდა პასუხობდეს კონკრეტულ არეალისთვის დამახასიათებელ კლიმატის ცვლილების გამოწვევებს, რეგიონულ დონეებზე. თანამედროვე ინტენსიური ტიპის ჯიშები, რომლებიც თავდაუზოგავი შრომით შექმნეს სელექციონერებმა, ხასიათდებიან მაღალმოსავლიანობით 10,5-12,5 ტ/ჰა-ზე, მაგრამ მოითხოვენ მაღალ აგროტექნიკურ მომსახურებას. ამიტომ, მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, შესაბამისი ინტენსიური ჯიშების გავრცელება და სარწყავი სისტემებით უზრუნველყოფა.

საქართველოსათვის ხორბლის მარცვლის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ საქსტატი ყოველწლიურად ითვლის

ქვეყნის ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტს (საქართველოში წარმოებული ხორბლის რაოდენობის შეფარდება საქართველოშივე მოხმარებული ხორბლის რაოდენობასთან). აღნიშნული კოეფიციენტის ბოლო ათწლეულის მაქსიმალური სიდიდე დაფიქსირდა 2016 წელს და მან 19% შეადგინა, რაც მაინც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ყოველწლიური ხარჯი 240 მილიონი დოლარია. საქართველოში ხორბლით უზრუნველყოფა სახელმწიფო გეგმის მიხედვით, 2030 წლისათვის 70%-ს უნდა მიუახლოვდეს. ამ მიზნის მისაღწევად ხორბლის კულტურის საშუალო მოსავლიანობა უნდა გაიზარდოს 3,5 ტ/ჰა-მდე.

ამის მიღწევა კი შესაძლებელია თუ არსებული მიწის რესურსებიდან წინასწარ გამოვყოფთ ხორბლის კულტურის მოსაყვანად 100 000 ჰა-ს სარწყავ ზონაში.

ეს საშუალებას მოგვცემს მივიღოთ 550-650 ათასი ტონა მოსავალი. მისი გადამუშავებით მივიღებთ 450 ათას სასურსათე მარცვალს. კახეთის და მესხეთ-ჯავახეთის ურწყავ ზონაში გამოიყოს 50 000 ჰა. საშუალო მოსავლიანობა არა ნაკლებ 3,5ტ/ჰა-ზე. სასურსათე მარცვალი იქნება 210 ათასი ტონა.

გასათვალისწინებელია, რომ ხორბლის ნაკმაზი საშუალებას მოგვცემს მეცხოველეობის დარგის განვითარების საშუალებას და მომავალი წლისათვის ნაკელის გამოყენებით ხორბლის მოსავლიანობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ხორბლის ფართობების ასეთი დაგეგმვა საშუალებას მოგვცემს (650 000ტ.) თვითუზრუნველყოფის საკითხი წარმატებით გადავჭრათ.

სასურველი იქნება ხორბლის შესაძენად გათვალისწინებული თანხები თუ მოხმარდება თანამედროვე ტექნიკის და სარწყავი სისტემების განვითარებას.

დღეს მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა, უკრაინის ომის გათვალისწინებით, აუცილებელს ხდის საქართველომ დაიბრუნოს ხორბლის წარმოების ტრადიცია, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და უსაფრთხოებას.

ცოტნე სამადაშვილი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვაზია ჩვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარი

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ვაათკეცე და წელს ველოდები დაახლოებით ორჯერ მეტ მოსავალს.

– რა გზით აპირებ მოწეული პროდუქციის რეალიზებას, რადგან მომრავლდნენ კერძო ღვინის ქარხნები, რომელთაც აქვთ თავიანთი ვენახები და სეზონზე ჭირს პროდუქციის რეალიზაცია.

– პროდუქციის რეალიზების ერთ-ერთი საუკეთესო პირობაა ხარისხიანი მოსავლის მიღება, რისთვისაც არ ვიშურებ შრომას, ამიტომ ყურძნის ქარხანაში ჩაბარების დროს წინააღმდეგობა არ შემხვედრია. ვფიქრობ, ასე იქნება მომავალშიც. ხარისხიანი ყურძნის მიღებაზე უარს არავინ არ გვეტყვის.

– თუ აპირებ შენი ბიზნესის გაფართოებას სხვა სახის კულტურების გაშენებით?

– რა თქმა უნდა, მარტო ვენახის გაშენებით არ დავკმაყოფილდები. უკვე დავიწყე ჩემი ბიზნესის გაფართოება. გარკვეულ ტერიტორიაზე გავაშენე თხილი და სხვადასხვა სახის ხეხილის ნერგები.

– როგორც მწარმოებლები აღნიშნავენ, წამოწყებული საქმისთვის მნიშვნელოვანია ადამიანს ჰქონდეს კარგი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, უნდა ერკვეოდეს პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიებში, ეკონომიკასა და ფინანსებში. ამ მხრივ ჩახედული თუ ხარ და თუ გაქვს იმედი შენი მეურნეობის წარმატებით გაძღოლის?

– როგორც მეწარმეს თეორიული ცოდნა საკმაოდ გამაჩნია. გვერდში მიდგას მეუღლე, რომელიც მუშაობს ღვინის ქარხანაში და ბევრ საკითხში მაღალ დონეზე ერკვევა. ბუნებრივია, წინააღმდეგობებსაც ვხვდები, რის დაძლევაშიც მეხმარებიან მშობლები, რომლებიც წლებია ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას.

– როგორც ახალგაზრდა დამწყები ფერმერი, მომავალში თუ აპირებ შენი პროდუქციის გატანას ევროპულ ბაზრებზე, ან საოჯახო ტურიზმის განვითარებას, – საქართველო ხომ ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

– ისევ ჩემი საყვარელი მწერლის სიტყვებს მოვიშველიებ: „ოცნება იმიტომაა კარგი, რომ ოცნებაა, თორემ ბროლის კოშკში მართლა ვის უცხოვრია“. მე არ ვაპირებ გაჩერებას. ოცნებას ფრთებს შევასხამ, გავაფართოებ ბიზნესს და ვიფიქრებ საოჯახო ტურიზმზეც. ვნახოთ, რა იქნება მომავალში, შრომასთან ერთად უფლის ნებაც არის.

– ჩვენი გაზეთის საშუალებით რას ეტყოდი და ურჩევდი დამწყებ მევენახეებს, – საერთოდ სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ ადამიანებს?

– პირველ რიგში მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო პროექტის „ახალგაზრდა მეწარმის“ ინიციატორებს და დღევანდელ ხელისუფლებას ამ საქმის ხელშეწყობისათვის, რაც აღმოჩნდა ჩემთვის დიდი სტიმულის მომცემი, მადლობა ასევე „თიბისი“ ბანკს, რომელიც ერთ-ერთი ხელშემწყობია, რომ სოფლის მეურნეობითა თუ სამეწარმეო საქმიანობით დაინტერესებულმა პირებმა ისარგებლონ დაბალპროცენტიანი, მრავაწლიანი საბანკო სესხებით.

როცა საქმის პირისპირ აღმოვჩნდი, მივხვდი, რომ მთავარია მონდომება და შრომა. ზოგჯერ აღმართს დაღმართი მოსდევს, მაგრამ გული არ უნდა გაიტეხო და არ დაიზარო. სწორედ იგივე უნდა ვურჩიო დამწყებ მევენახეებს და საერთოდ სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს. ვაზი ხომ ჩვენი

მარჩენალი და სავაზიტო ბარათიც არის. ტყუილად არ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: „ვაზო, შვილივით ნაზარდოო“. დიახ, სიყვარული და მოვლა სჭირდება მას. ალბათ, ესეც ბუნებრივია, რომ მოვლის ზოგიერთი პროცედურა მუხლჩახრილი სრულდება, რაც ერთგვარად ლოცვის რიტუალს წააგავს.

დიახ, ვაზია ჩვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარი. დაე, ვილოცოთ, რათა კახეთის არცერთი ტერიტორია არ დარჩეს აუთვისებელი. დაე, იმრავლონ იმ ადამიანებმა, ვინც შეძლებენ ვენახის გაშენებასა და მოვლას, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

– გმადლობ გულახდილი საუბრისთვის და გისურვებ წარმატებებს და წინსვლას ფერმერულ საქმიანობაში. ხვავი და ბარაქა არ მოკლებოდეს შენს ოჯახს. ბარაქიანი მოსავალი ხომ ძლიერი ოჯახის საწინდარიცაა.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

სასუქი, რომელიც მცენარეების ზრდას აჩქარებს
და უსაფრთხო შესაწამლი ხსნარი ღია გრუნტის მცენარეებისთვის

ყველამ, ვისაც სახლში მცენარეები, ან თუნდაც ერთი მცენარე აქვს, იცის, რომ ადრე, თუ გვიან, დგება მომენტი, როდესაც ის ზრდას და ყვავილობას წყვეტს.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, იმის დადგენაა საჭირო, აქვს თუ არა მას პრობლემა (პარაზიტები, დაავადება) და თუ ყველაფერი რიგზეა, მაშინ ცხადი ხდება, რომ ის საკვები ნივთიერებების დეფიციტს განიცდის ან გარემო პირობებია მისთვის არახელსაყრელი. არახელსაყრელ პირობებში, პირველ რიგში, – გამათბობლებით გამომშრალი ჰაერი იგულისხმება ზამთარში და მაღალი ტემპერატურა – ზაფხულში (კონდენციონერის ჩართვის შემთხვევაში, შეიძლება მცენარე გაცივდეს და დაიღუპოს). ასეთ პირობებში, მცენარემ კომფორტულად რომ იგრძნოს თავი, შეგიძლიათ წყალბადის ზეჟანგიანი (იგივე «პერეკისი») წყალი მიასხუროთ. წყლის პროცედურები მის ჯანმრთელობაზეც დადებითად იმოქმედებს და ჟანგბადითაც მოამარაგებს. ჟანგბადი კი, მცენარისთვის, ისევე აუცილებელია, როგორც ჩვენთვის.ამიტომ, მცენარე აუცილებლად კარგად იგრძნობს თავს, მის ირგვლივ, ჟანგბადით გამდიდრებული წყლით, ჰაერის დატენიანების და მორწყვის შემდეგ. მაგრამ, ხსნარის მომზადებისას, ჩაასხით,მოურიეთ კოვზით, გადაასხით პულვილიზატორში.

გამოყენების წესი:

მიღებული ხსნარის მცენარეზე მისხურება ყოველდღე შეიძლება. ხოლო, მორწყვა – მხოლოდ, კვირაში ერთხელ. ასეთ რეჟიმში მცენარე სწრაფადაც გაიზრდება და ყვავილებითაც გაგახარებთ. კვირაში ერთხელ, ამ ხსნარით, ბაღის და აივნის მცენარეების მორწყვაც შეიძლება.

ახლა კი, იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს წყალბადის ზეჟანგი: ისევე, როგორც წყალი (H_2O), ეს ნივთიერება ჟანგბადის და წყალბადისგან შედგება, მაგრამ მის მოლეკულას ერთი დამატებითი ჟანგბადის ატომიც აქვს. H_2O_2 არასტაბილური მოლეკულაა და როგორც კი ნიადაგში ხვდება, ის მაშინვე კარგავს ჟანგბადის 1 ატომს. თავისუფალი ჟანგბადი გამანადგურებელ დარტყმას აყენებს ნიადაგში არსებულ მავნებლებს და სოკოებს. გარდა ამისა, ის ნიადაგში აერატორის ფუნქციასაც ასრულებს, აძლიერებს ფესვთა სისტემას და მცენარის ზრდას უწყობს ხელს.

წყალბადის ზეჟანგი მცენარისთვის საჭირო მიკროელემენტებსაც შეიცავს და მისი გამოყენების შემდეგ, ის ახალი ძალებით იწყებს ყვავილობას.

წყალბადის ზეჟანგი, როგორც სასუქი

ჩვეულებრივ, მცენარეები ონკანიდან აღებული ნადგომი წყლით ირწყვება, მაგრამ ყველა მცენარეს და მათ შორის, ოთახის მცენარეებსაც, ძალიან უყვართ წვიმის წყალი. ის მცენარეებს ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის ესაჭიროება. სწორედ პერეკისის დახმარებით არის შესაძლებელი ონკანის წყლით, წვიმის წყლის ეფექტის მიღება და ამისთვის, როგორც უკვე არვნიშნეთ, 1 ლ. წყალი და 2 ს. კ. 3%-იანი წყალბადის ზეჟანგი არის საჭირო.

კვირაში ერთხელ ამ ხსნარით მორწყვის შემთხვევაში, თუ მცენარეს მიწას წელინადში ერთხელ უცვლით, სხვა სასუქის გამოყენება საჭირო აღარ არის.

გარდა ამისა, წყალბადის ზეჟანგი მცენარის ფესვებს ყველანაირი მავნებლებისგან იცავს, რადგან მიწაში გაბნეული თავისუფალი ჟანგბადი ფესვის მკვდარ უჯრედებს „შთანთქავს“ და პათოგენურ ბაქტერიებს გამრავლების და გავრცელების საშუალებას არ აძლევს ანუ ფესვებს ლპობისგან იცავს.

წყალბადის ზეჟანგით მომზადებული სასუქი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემადგენლობის მიხედვით, მაქსიმალურად არის დაახლოებული წვიმის წყალთან და 1-2 მორწყვის შემდეგ, დაინახავთ თუ როგორ შეიცვლება თქვენი მცენარე.

წყალბადის ზეჟანგის შესაწამლი

პერეკისის გამოყენებით შესაძლებელია შესაწამლი ხსნარის მომზადება ღია გრუნტის მცენარეებისთვის. ამისთვის, ერთმანეთს უნდა შეურიოთ:

50 მლ. 3% წყალბადის ზეჟანგი
2 ს. კ. სამედიცინო სპირტი
3 წვეთი ჭურჭლის სარეცხი საშუალება
900 მლ. წყალი

ხსნარის გამოყენება კვირაში ერთხელ შეიძლება და ის მომზადებისთანავე უნდა გამოიყენოთ (შენახვა არ შეიძლება): ჩაასხით პულვილიზატორში და მიასხურეთ მცენარეს მიწის ზედა ნაწილზე. ხოლო ძირში, ისევე როგორც ოთახის მცენარეებს, ზემოთ მოცემული რეცეპტით მომზადებული (2 ს.კ. პერეკისი/1ლ. წყალი) ხსნარი დაუსხით.

წყალბადის ზეჟანგი გამოყენება მეყვავილეობაში

* მცენარის თესლს, დათესვის წინ თუ წყალბადის ზეჟანგიან ხსნარში დაალბობთ, ის უფრო კარგად გაიზრდება. ისევე, როგორც მცენარეების შემთხვევაში, ხსნარი დეზინფექციას უკეთებს თესლს და სწრაფად ზრდის სტიმულს აძლევს.

ჩვეულებრივ, თესლს 12 სთ-ით ალბობენ. მაგრამ თუ საქმე მცენარესთან გვაქვს, რომელსაც ზრდასთან დაკავშირებით ბუნებრივი სირთულეები აქვს, მაშინ – 24 სთ-ით ჩალბობა არის საჭირო;

* აღნიშნული სასუქის გამოყენება ასევე კარგია ნერგების და ჩითილების შემთხვევაში;

P.S. წყალბადის ზეჟანგის გარდა, მცენარეებისთვის არანაკლებ სასარგებლო, კიდევ ერთი მედიკამენტია, რომელიც, სავარაოდოდ, ყველა ადამიანის საოჯახო აფთიაქშია.

ყველასთვის ცნობილია, რომ ნიშადურის სპირტს ფართოდ იყენებენ მედიცინაში, ქიმიურ წარმოებაში და საერთოდ, ბევრ სხვა სფეროში. მისი საშუალებით, აზრზე მოჰყავთ გონებადაკარგული ადამიანები, წმენდენ ფანჯრებს და სხვადასხვა სახის მოწყობილობებს... მაგრამ, ბევრმა არ იცის, რომ ნიშადურის სპირტით შეიძლება სასუქის მომზადება მცენარეებისთვის. როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ეს სასუქი მხოლოდ საკვები კი არა, მათი დაცვის საუკეთესო საშუალებაც არის.

ისევე როგორც ადამიანებს, ნიშადური მცენარეებს „ამხნევებს“ და „აზრზე მოჰყავს“.

შენიშვნა: ნიშადურის სპირტი – 10%-იანი ამიაკის ხსნარია, რომელსაც ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ ნიშადურს ეძახიან. ხოლო, ქიმიკოსებისთვის, ის ამონიუმის ჰიდროქსიდია (NH_4OH), რომელშიც აზოტის (N) შემცველობა 82% ტოლია. აზოტს კი, როგორც ცნობილია, ძალიან ადვილად ითვისებენ მცენარეები.

ამ სასუქის მიღების შემდეგ, მცენარე უფრო სწრაფად იზრდება და მისი ფოთლებს ფერი ეცვლება – ბევრად უფრო მუქი და ხასხასა ხდება (ყვავილების მოყვარულებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ აზოტის დეფიციტის შემთხვევაში, მცენარეს ფოთლები უყვითლდება და უხმება კიდეც). გარდა ამისა, თუ მცენარეს ყვავილობის პერიოდი აქვს, ამიაკიანი ხსნარის მიწოდებიდან, სულ მალე, კოკრები გამოუვა. ყველა შემთხვევაში, მცენარეს ცვლილებას, სასუქის მიწოდებიდან, 3-4 დღის შემდეგ შეატყობთ.

ნაცროვანი სოკო კიტრზე: ყველაზე ეფექტური მეთოდი მოსაშორებლად

ეს დაავადებაა, რომელსაც მიკროსკოპული ექტოპარაზიტული სოკო იწვევს და ფოთლებზე თეთრი ლაქებით ვლინდება. ასე ფოთლები ხმება და ცვივა, მცენარე კვდება. კიტრი კვდომისგან რომ დაიცვათ და ნაცროვანი სოკო მოიშოროთ, მარტივი ხსნარი ხელმისაწვდომი საშუალებით მოამზადეთ. გირჩევთ ეფექტურ მეთოდს, როგორ მოაშოროთ ნაცროვანი სოკო კიტრს მარტივად.

როგორ მოვიშოროთ ნაცროვანი სოკო: მარტივი რეცეპტი – სოკოსთან საბრძოლველად სოდა და სარეცხი საპონი იდეალურად ეფექტური საშუალებაა. ამ კომპონენტების ნარევი მცენარეს დაიცავს ისეთი მავნებლებისგან, როგორიცაა ბუგრი და ობობის ტკიპა, ასევე ნაცროვანი სოკოსთვის კარგი საპროფილაქტიკო საშუალებაა.

ინგრედიენტები:
- 10 ლ თბილი წყალი
- 2 ს/კ სოდა
- 50 გ გახეხილი სარეცხი საპონი

ნარევის მომზადების წესი:

საპონი წვრილ სახეხზე გახეხეთ და ცოტა თბილ წყალს აურიეთ. ახლა ყველა კომპონენტი შეაერთეთ და სრულ გაზავებამდე აურიეთ. საპონი ეფექტურობას ზრდის და მიმწებებლის როლს ასრულებს, რომ საშუალება ფოთლებზე დიდხანს დარჩეს.

სასარგებლო რჩევები

1. ხსნარი ეფექტური რომ იყოს, დასანამად დრო სწორად შეარჩიეთ. კარგია საღამოს, როცა მზე ჩასულია, ან ღრუბლიანი ამინდი. ასე ნაზ ფოთლებს მზის დაწვრობისგან დაიცავთ.

2. კიტრის ფოთლები გარე მხრიდან განსაკუთრებით კარგად დაამუშავეთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ნარევი ფოთლების უკანა მხარესაც უნდა მოხვდეს.

3. ნაცროვანი სოკოს საწინააღმდეგოდ ნარევი ყოველ 2 კვირაში შეგიძლიათ გამოიყენოთ. წვიმა ტუტე საფარს რეცხავს, ამიტომ წვიმიან ამინდში უფრო ხშირად გამოიყენეთ. ამ პროცედურის რეგულარული ჩატარება კიტრს დაიცავს და მოსავლიანობას გაზრდის.

4. გახსოვდეთ, რომ სოდა და სარეცხი საპონი ეფექტურია მხოლოდ პრევენციის შემთხვევაში ან დაავადების საწყის ეტაპზე. თუ დაავადება ძალიან გავრცელდა, ასეთი ხსნარი, დიდი ალბათობით, ვერ დაგეხმარებათ.

თუ კიტრის ფოთლებზე ნაცროვანმა სოკომ შეგაწუხათ, უმარტივესი ტუტე ხსნარი გააკეთეთ. მცენარის დამუშავების რეკომენდაციები დაიცავით და დადებით შედეგს მიიღებთ.

პომიდვრის გამოკვება და მოვლა ყვავილობის დროს. რა ვუყოთ ნამხარს

რა უნდა გავაკეთოთ, როცა პომიდორი აყვავდა: რით გამოვკვებოთ, როგორი ფორმა მივცეთ ბუჩქს და საჭიროა თუ არა ნამხარის მოშორება.

პომიდორი აყვავილდა: ბუჩქის ფორმირება და სხვა მნიშვნელოვანი ქმედებები – დაგვეთანხმეთ, რომ გაშლილი ფოთლების მქონე ძლიერი ბუჩქის შემხედვარე გული სიხარულით გვევსება. სათბურში პომიდვრის ტყე მდიდარი მოსავლის გარანტია არაა. საქმე იმაშია, რომ პომიდორი ბუნებით, თუ საკმარისი ტენიანობა აქვს, ბევრ ნამხარს ზრდის. ჩვეულებრივ, ღეროს განშტოება პირველი ყვავილობისას იწყება. ასევე ნამხარი თითოეული ფოთლის უბეში ზრდას იწყებს. თუ ახალ ტოტებს ზრდის საშუალებას მისცემთ, ღეროებად სწრაფად გადაიქცევა. ფესვებმა მკვებავი ნივთიერებები დამატებით ღეროებზე რომ არ დახარჯოს, ჩაერიეთ და ბუჩქის ფორმირება დაიწყეთ. 2 მთავარი ღერო დატოვეთ, დანარჩენი მოაშორეთ. ქვედა ფოთლებიც, რომელიც მიწას ეხება, მოაშორეთ, რომ პომიდორი ფიტოფთორისგან დაიცვათ. გაწეული სამუშაოს შემდეგ მცენარე მთელ ძალას ყვავილობისა და ნასკვების და არა ფოჩების ფორმირებისკენ მიმართავს. სწორედ ეს გვჭირდება.

რით გამოვკვებოთ აყვავებული პომიდორი – ყვავილობის პერიოდში მნიშვნელოვანია სასუქის მიწოდება, რომელიც უზრუნველყოფს არა მწვანე მასის ზრდას, არამედ ეფექტურ ყვავილობას ფუჭყვავილების გარეშე და ტკბილი ნაყოფის მომწიფებას. ამ მისიას ბორის მჟავა შეასრულებს. ის ნასკვების კვებას არეგულირებს და ნაყოფს შაქრით ამდიდრდებს. ბორის მჟავა პარაზიტებისა და დაავადებებისგან დამატებით დაცვასაც უზრუნველყოფს. პრეპარატი აფთიაქში ან ყვავილების მაღაზიაში იყიდება. 1 ჩ/კ ბორის მჟავა 0,5 ლიტრ ცხელ (70-80 გრადუსი) წყალში გახსენით. აურიეთ, რომ კრისტალები ბოლომდე გაიხსნას. ამის შემდეგ მიღებული კონცენტრატი 10 ლიტრ წყალში გააზავეთ.

მნიშვნელოვანია! ბორის მჟავის კრისტალები ცივ წყალში არ იხსნება. სწორედ ამიტომ, თუ მაშინვე ვედრო წყალს დაუმატებთ, კრისტალები პომიდვრის ფოთლებს მიეკვრება და დამწვრობას გამოიწვევს.

ხსნარი პულვერიზატორში ჩაასხით და მცენარე დაამუშავეთ. ეცადეთ, რომ სასუქი ბუჩქს ყველა მხრიდან მოხვდეს: ღეროს, ფოთლების ზედა და ქვედა ზედაპირებს, ყვავილებს. პომიდორი ბორის მჟავით გამოკვებეთ კვირტების გამოჩენისას, ყვავილობის დროს და ნასკვების ფორმირებისას. გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი გამოკვება უმჯობესია საღამოს, როცა მზე აქტიური არაა, ან გრილ ამინდში.

პომიდვრის კარგი მოსავალი რომ მიიღოთ, ბუჩქები სწორად უნდა ჩამოაყალიბოთ: მაქსიმუმ 2-3 ღერო დატოვეთ და ქვედა ფოთლები მოაშორეთ. გამოკვება არ დაგავიწყდეთ: იდეალურია, თუ ყვავილობის პერიოდში 3-ჯერ გამოკვებავთ. წარმატებას და უხვ მოსავალს გისურვებთ!

წარმატება არის, რამდენად დიდი – არ ვიცი, შრომა რომ გიფასდება, მგონი, უფრო იმის სიხარულია

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

– ნანა, პირველ რიგში ყვარელზე ვისაუბროთ. რას ნიშნავს შენთვის ყვარელი და ყვარლელები?

– ყვარელი ჩემი დედულეთია. რაც თავი მახსოვს, ყოველ ზაფხულს ჩამოვდივართ. პატარა რომ ვიყავი, უფრო ხშირადაც ჩამოვდიოდით. ამიტომ ყვარელში ჩვენი სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული რაღაც ამბავს ინახავს, ამბავს ჩემს ბავშვობაზე, ადამიანებზე, ურთიერთობებზე. იმ ხალხის დიდი ნაწილი, რომელთა თვალწინაც გაიარა ჩემმა ბავშვობამ, დღეს ცოცხალი აღარაა. ამიტომაც ჩვენი სახლის ასეთი სიცოცხლე, მრავალამბიანი, სევდანარევიც არის. ყვარელმა ჩემთვის შემოინახა ის, რაც უკვე აღარ არის და ყოველთვის, როცა ჩამოვდივარ, თითქოს წარსულს ვეხები.კიდევ ისიცაა, რომ ყვარელში ყველა ყველას იცნობს. თბილისში ასეთი სიახლოვე ადამიანებს შორის არ არის – არავინ გაგაჩერებს ქუჩაში იმის გამო, რომ შენს დიდ ბაბუას იცნობდა. ახლა, როცა ილიას მუზეუმში მკითხველებს შევხვდი, იქ დამსწრეთაგან რამდენიმემ დიდი სიყვარულით გაიხსენა ჩემი ბებია ნანი მარდალეიშვილი და ჩემი დიდი ბებია-ბაბუა, მარიამ და მიხეილ მარდალეიშვილები. და მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები პირველად იმ დღეს ვნახე და არც ისინი მიცნობდნენ, უცებ ძალიან ახლობლები გახდნენ ჩემთვის მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ბებია-პაპა ახსენეს.

– როგორც ვიცი სკოლის ასაკში დაიწყე წერა. როგორ გაიხსენებ ამ პერიოდს?

– მე დემირელის სახ. კერძო კოლეჯი დავამთავრე – ერთ-ერთი ცნობილი, პრესტიჟული და კარგი სკოლა. იქ დამოკიდებულებაც პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის სხვანაირი იყო, უფრო მეგობრული, უფრო თანასწორობაზე დაფუძნებული. მე მანამდე საჯარო სკოლაში ვსწავლობდი და მახსოვს, ეს თავისუფლება და ურთიერთპატივისცემა როგორი მეუცხოვა – ვერ წარმომედგინა, თუ მასწავლებელს შეიძლებოდა, გაკვეთილი ყურის აწევისა და ვინმეს კუთხეში დაყენების გარეშე ჩაეტარებინა. დემირელის კოლეჯში, პირიქით, წახალისება იცოდნენ ხოლმე, განსაკუთრებით, თურქმა პედაგოგებმა: შოკოლადების დარიგება კარგად შესრულებული დავალებისათვის, პიკნიკზე წაყვანა სკოლის ხარჯებით, ჩემს დამრიგებელს კარგი მოსწავლეები თურქულ რესტორანშიც წავუყვანივართ. ეს ყველაფერი უფრო ახლო და უშუალო დამოკიდებულებას აყალიბებდა ბავშვებსა და მასწავლებლებს შორის – მასწავლებლის არ გვეშინოდა.

ალბათ, ასეთი თავისუფალი გარემოს დამსახურება იყო, წერა რომ დავიწყე. სწორედ დემირელის კოლეჯში სწავლის პირველ წელს დავწერე პირველი მოთხრობა.

– არსებობდა თუ არა კონკრეტული ფაქტი ან გარემოება, რამაც იქონია გავლენა იმაზე, რომ მხატვრული ნაწარმოებების წერა დაგეწყოთ?

– პირველი მოთხრობა რეალურ ამბავზე დავწერე, მაგრამ მაშინ მწერლობაზე საერთოდ არ ვფიქრობდი. ამაზე ორი წლის შემდეგ დავფიქრდი, როცა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ამოვყავი თავი, როგორც ერთ-ერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულმა. იქ კომპეტენტურმა ადამიანებმა მითხრეს, ნიჭი გაქვს და წერა უნდა გააგრძელოო. ბევრი ბრძოლა დამჭირდა, წერა ძირითად საქმედ რომ მექცია.

– უშუალოდ „აკუმის“ შესახებ რომ ვისაუბროთ... წერის პროცესზე, სიუჟეტზე და პერსონაჟებზე; საიდან გაჩნდა ამ ნაწარმოების დაწერის იდეა: იყო თუ არა შთაგონება რეალური სივრცე და რამდენად ახლოსაა რომანის სიუჟეტი ნამდვილთან, ასევე პერსონაჟები?

– ზემოთ ბრძოლა ვახსენე და „აკუმის“ დაწერის ამბავი სწორედ ბრძოლის ამბავია: გეგმები მქონდა, რომლებიც ჩაიშალა, მე კი ნაჩვევი არა ვარ მარცხებს, მძიმედ გადამაქვს. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, დავიკარგე. ვიშოვე სამსახური, რომელიც არ მომწონდა, ვაკეთებდი იმას, რაც არ მინდოდა და რა მინდოდა, ესეც ბუნდოვანი იყო. მაშინ, ძირითადად, ფილოსოფიისა და თეოლოგიის კითხვით ვიქცევდი თავს. და ერთ დღესაც იოსებ ისიქასტის წიგნში „მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა“ ერთი პასაჟი აღმოვაჩინე, იღუმენიასადმი მიწერილი: „მე ისე გარიგებთ თქვენ, როგორც ჩემს ძმებს ვარიგებ – სქესი მხოლოდ გამრავლებისთვის არსებობს, ჩვენ კი ამაზე უარი ვთქვით. არ არის არავითარი „კაცის სული“ და „ქალის სული“, სული სულია“. ვიფიქრე, რა რევოლუციური ნათქვამია-მეთქი – სქესი ქრისტიანობაში ხომ მხოლოდ გამრავლებისთვის არ არსებობს, თავისი სოციოკულტურული განზომილება აქვს. და მაშინ გაჩნდა იდეა: რა იქნება, ადამიანი უსქესოდ რომ დაიბადოს? ვიცოდი, რომ რომანის იდეა იყო. ისიც ვიცოდი, უამრავი რამის შესწავლა რომ დამჭირდებოდა. ჩემმა დეიდაშვილმა, ზუკამ, მირჩია სამედიცინო ლიტერატურა და წერის პროცესში ისე ვეჯექი ამ სახელმძღვანელოებს (ემბრიოლოგიისა და ფიზიოლოგიის), როგორც ნამდვილი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი.

რაც შეეხება ტექსტის რეალობასთან მიმართებას, ვფიქრობ, პარალელები საგრძნობია: ნუგზარის ამბავი ძალიან ქართულია (ბევრი ქართველი წავიდა ინდოეთში 90-იანების არეულობისას, ოშოსაც ჰყავდა ქართველი მოწაფეები), ასევე – ანასიც (ქალი, რომელსაც ქმარი აფხაზეთის ომში ეღუპება და ემიგრაციაში მიდის მცირეწლოვანი შვილების სარჩენად). აკაკიც ტიპიური წარმომადგენელია თავისი თაობის, დაკარგული და ცოტა ინერტული. მე მინდოდა, ჩემი ქვეყნის ამბავიც მომეყოლა ან უფრო – ის, რაც ჩემი ქვეყნის ამბავში ზოგადადამიანურია.

– როგორც მწერალს რისი თქმა გინდოდათ ამ რომანით მკითხველისთვის?

– ნორმისა და ანომალიის ურთიერთმიმართებაზე ვფიქრობდი და იმაზე, რომ ანომალია ცუდს არ ნიშნავს და შეიძლება, პირიქით, ღვთაებრივის გამოვლინება იყოს. მინდოდა, მრავალფეროვნების აღქმასა და მიღებაშიც დახმარებოდა რომანი მკითხველს.

– მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არაა, რაც წიგნი გამოვიდა, ალბათ უკვე მიიღეთ მკითხველების გამოხმაურება. რომ შეაფასებ ამ გამოხმაურებას და რას ნიშნავს ეს „გზავნილები“ შენთვის?

– ინტერპრეტაციები მრავალგვარია. არის რამდენიმე რეცენზია და ახლა უკვე – ერთი სამაგისტრო ნაშრომიც. ჩემთვის სასიხარულო და საამაყოა, ამდენი ადამიანის გულამდე რომ მივიდა წიგნი. ერთი თავისებურებაც გამოიკვეთა: „აკუმი“ სხვადასხვა სიებში ხვდება ხოლმე: ფემინისტური ტექსტების, ქვიარ რომანების, სამეცნიერო ფანტასტიკის, ა.შ. მე არ მიყვარს ჩარჩოები, მით უმეტეს, როცა საქმე ლიტერატურას ეხება, რადგან კატეგორიზება ლიტერატურაში მაინც პირობითია. მაგრამ ის, რომ ამდენ განსხვავებულ კატეგორიაში ჯდება ტექსტი, მის მრავალშრიანობაზე უნდა მიანიშნებდეს, რაც ავტორისთვის, რა თქმა უნდა, გასახარი ამბავია.

– რას ნიშნავს შენთვის მთავარი ლიტერატურული პრემია, თვლი, რომ ეს არის დიდი წარმატება?

– შიში და პასუხისმგებლობის განცდა იყო. როცა პირველი წიგნი წარმატებულია, მეორის მოლოდინი გზაფრავს – ვაითუ, ვერ აჯობო შენს თავს? ვეცადე, მალე დამეძლია ეს შიში. ახლა პრემიებისადმი უკვე მშვიდად ვარ განწყობილი. წარმატება არის, რამდენად დიდი – არ ვიცი, შრომა რომ გიფასდება, მგონი, უფრო იმის სიხარულია.

– სამომავლოდ, რას უნდა ელოდეს თქვენი მკითხველი, რა წიგნზე მუშაობთ?გამოვიდა მოთხრობების კრებული ბიბლიის პერსონაჟ ქალებზე „ახალი აღქმა“. მესამე წიგნი იქნება ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომი მარიამ გარიყულისა და მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებზე. შედარებითი ანალიზია, ნაჩვენებია, როგორ ვლინდება ტექსტში ქალისა და მამაკაცის ავტორობა. ამის გარდა, მაქვს ერთი იდეა, რომლის განხორციელებასაც უახლოეს თვეებში შევუდგები.

– საკუთარი გამოცდილებით თუ გვეტყვი, რა გამოწვევის წინაშე შეიძლება დადგეს დამწყები მწერალი დღეს?

– ჩვენში გულუბრყვილოდ მიიჩნევა, რომ თუ ახალგაზრდა ხარ, ვერაფერს დაწერ და მით უმეტეს, ვერ დაწერ რომანს. ჩემთვის პირდაპირ უთქვამთ, პროზა 30 წლის მერე იწყებაო; აგდებული დამოკიდებულებაც ხშირად მიგრძნია. მადლობა ღმერთს, ჩემი გამომცემელი ასე არ ფიქრობს – პირველივე შეხვედრისას მითხრა, არ ვიცი რამდენი წლის ხართ და არც გკითხავთ ამას, რა მნიშვნელობა აქვსო. მნიშვნელობა მართლაც არ აქვს: ფოლკნერმა, ჰერმან ჰესემ, თომას მანმა, დოსტოევსკიმ თავიანთი პირველი რომანები 30 წლამდე დაწერეს. აღარაფერს ვამბობ ჯეინ ოსტინსა და ფრანსუაზ საგანზე, რომლებიც 20 წლამდე წერენ რომანს. თანამედროვეთაგან ზაიდი სმიტი, ამელი ნოტომი და ორჰან ფამუქი ქმნიან თავიათნ პირველ რომანებს 23-25 წლის ასაკში.

ერთი სიტყვით, ესაა მთავარი დაბრკოლება – ერთგვარი ანტაგონიზმი ახალგაზრდებისა და ახალგაზარდობისადმი.

– ...და რჩევა, რომელიც დამწყები მწერლებისთვის გექნებათ?

არ მგონია, რამე კონკრეტული რჩევა არსებობდეს – გულის კარნახს უნდა მიჰყვნენ. ჩემი გამოცდილებიდან, სასარგებლოა ლიტერატურულ პროექტებში, განსაკუთრებით, ახალგაზრდულ პროექტებში მონაწილეობა – ახალ ნაცნობებსა და მეგობრებს იძენ. ასევე, კარგია ერთი უცხო ენის შესწავლა სრულყოფილად, ერთის მაინც, რომ დედანში კითხვა შეგეძლოს – ჩვენ ბევრს ვთარგმნით, მაგრამ ყველაფერს, რაც იწერება – მაინც ვერა. ლიტერატურის თეორიიდან კი ცოტა რამ თუ გვაქვს ნათარგმნი. ამ ცოდნის გარეშე მწერალს დღეს ძალიან გაუჭირდება.

– ნანა, საინტერესოა როგორი მკითხველი იყავი, რომელმა ავტორებმა ან წიგნებმა მოახდინეს შენზე ყველაზე დიდი გავლენა?

– რაც წამიკითხავს, ყველაფერს მოუხდენია გავლენა. ყველაზე მძაფრი ემოციური შთაბეჭდილება გოდერძი ჩოხელმა, რეზო ინანიშვილმა და მიხეილ ჯავახიშვილმა დამიტოვეს, ყველაზე მძაფრი ინტელექტუალური შთაბეჭდილება კი – უმბერტო ეკომ ხორხე ლუის ბორხესმა და ვირჯინია ვულფმა. ბოლო დროს მეოცე საუკუნის ქართველ მწერალ ქალებს მივუბრუნდი, მარიამ გარიყულსა და ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას და სრულიად სხვა სამყარო აღმოვაჩინე.

რაც შეეხება ლიტერატურულ გავლენებს, აქ საქმე უფრო რთულადაა: „აკუმის“ წერისას ფოლკნერი, ოთარ ჭილაძე და ტოლკინი დამეხმარნენ ძალიან სტრუქტურის მოწესრიგებაში. მაგ პერიოდში წავიკითხე ჰერტა მიულერის „სუნთქვის საქანელა“ და ვეცადე, ენისთვის მეტი თავისუფლება მიმეცა. „აკუმის“ ენობრივ თავისებურებებს რამდენიმე მკითხველმა გაუსვა კიდეც ხაზი, ძალდაუტანებელია და პროზასა და პოეზიას შორის არისო. „ახალ აღქმაზე“ მუშაობისას ჩემი მთავარი შთაგონება აპოკრიფული სახარებები იყო, სადღაც აჩრდილად კი მედგნენ ფრანგი მწერლები: ელენ სიკსუ და ჟან ჟენე. ბოლო დროს, ძირითადად, პოეზიას ვკითხულობ, თანამედროვე პოეზიას (ახლა ედრიენ რიჩის კრებული მიდევს, მაგალითად) და ესეც, ალბათ, სადმე გამოჩნდება.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურას სულ ვკითხულობ და რეცენზიებსაც ვწერ. ასევე, გაუნელებელია ჩემი სიყვარული ძველი ქართული ლიტერატურის მიმართ; იმ იდეის ლიტერატურული პირველწყაროც, რომელიც ახლა მაქვს, სწორედ ერთი ჩვენი ძველი, კლასიკური ტექსტია.

– როგორ წარმოგიდგენია საკუთარი თავი მომავალში?

– ბევრი წიგნის ავტორად, ბევრ ენაზე თარგმნილ ავტორად, ბევრი მკითხველით და რამე შინაური ცხოველით, მაგალითად, კატით.

– წარმატებებს გისურვებთ.

– დიდი მადლობა! ვულოცავ თქვენს გაზეთს საიუბილეო თარიღს! სულ გამარჯვებით გევლოთ!

ესაუბრა
ია გიგიაშვილი

P.S. ახლახანს შევიტყვე, რომ ნანა აბულაძე International Writing Program-ის მონაწილე გახდა!

International Writing Program ყოველწლიური სარეზიდენციო პროგრამაა აიოვის უნივერსიტეტში, რომელიც საერთაშორისო სარეზიდენციო პროგრამებს შორის უძველესი და ყველაზე კონკურენტულია: 1967 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს, პროგრამა მთელი მსოფლიოდან 30-35 მწერალს ირჩევს.

ნანა აბულაძე აიოვის უნივერსიტეტში ორ თვეს გაატარებს, სადაც ლიტერატურულ ღონისძიებებსა და შეხვედრებში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო ლიტერატურული ტურნეს ფარგლებში კი, რომელსაც პროგრამა უზრუნველყოფს, ჩიკაგოსა და ნიუ იორკს ეწვევა.

აღსანიშნავია, რომ 55-წლიანი ისტორიის განმავლობაში, პროგრამას სულ ოთხი ქართველი მონაწილე ჰყავდა. ნანა აბულაძე International Writing Program-ის მონაწილე პირველი ქალი ავტორია საქართველოდან!

წარმატებებს ვუსურვებთ მას!

ჭინჭრის შხამი – ძლიერმოქმედი საშუალება! თუ გაწუხებთ სახსრები, სეზონი არ გამოტოვოთ და მკურნალობა ახლავე დაიწყეთ

გთავაზობთ რეცეპტს, რომელიც სახსრების ტკივილის დაგავიწყებთ. ის რამდენიმე წლის წინ ჟურნალში „ციმბირის შორეული აღმოსავლეთის ნიადაგში“ დაიბეჭდა. სადაც შემდეგ მოქმედებას გვთავაზობენ: „რამდენიმე დღის განმავლობაში, ყოველ დილით მტკივნეული ადგილი ჭინჭრის შხამით დაისუსხეთ“.

ამინდის ცვლილების დროს, ზოგჯერ უმიზეზოდ მუხლები ძალიან მტკიოდა. ამ მეთოდის გამოყენება გადავწყვიტე.

1 თვის განმავლობაში ყოველ საღამოს ფეხებს ჭინჭრით ვისუსხავდი – ტკივილი გაქრა. 5 წელი გავიდა, რაც სახსრები ცუდი ამინდის დროს აღარ მაწუხებს. ახლა უკვე მშვიდად მძინავს.

წელს ხელის ტკივილმა შემაწუხა, მისი აწევა მიჭირდა. ჭინჭრის გამოჩენას დაველოდე, ერთი თვე ვისუსხავდი და ყველაფერი გაქრა.

ჩემმა თანამშრომელმა მისი დახმარებით ნეკნებშუა ნევრალგია მოირჩინა. თეთრეულზე ჭინჭარი დაალაგა, გაიხადა, ამ თეთრეულში დაწვა და დაიძინა. დილით სამსახურში გამართული მოვიდა, არადა წინა საღამოს მოხრილი, ძლივს დადიოდა.

ჭინჭარი მტკივნეულ ადგილებს არ წვავს და სიმსუბუქეს იმწამსვე იგრძნობთ. ეს მეთოდი რადიკულიტის დროსაც დაგეხმარებათ.

ზამთრისთვის ჭინჭრის ცოცხის მომზადება შეიძლება.

ჭინჭრის შხამი – ძლიერმოქმედი საშუალება

ფოთლების ნახარში

20 გრ მშრალ ან 300 გრ ახალ ჭინჭრის ფოთლებს 250 მლ მდუღარე წყალი დაასხით, ცეცხლზე დადგით და ადუღებამდე მიიყვანეთ. თავსახური დაახურეთ და დაახლოებით 2-3 წუთით ადუღეთ. მცირე ხნით დააყენეთ. ამის შემდეგ გადაწურეთ.

ჭინჭრის მოდუღების დროს ზოგიერთი დეტალი უნდა იცოდეთ, რომ ვიტამინები არ გაანადგუროთ.

მთელი ფოთლების გამოყენების დროს 1 ადამიანზე 4 ფოთოლი უნდა აიღოთ, 1 ჭიქა ნედლი წყალი დაასხათ, ქვაბს თავსახური დაახუროთ, დაბალ ცეცხლზე ადუღებამდე მიიყვანოთ და იმწამსვე გადმოდგათ.

ფოთლების აორთქლებას დაელოდეთ, ამას დაახლოებით 30 წუთი დასჭირდება და დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 10-15 წუთით ადრე დალიეთ. ნახარში დილა-საღამოს დალიეთ. ფოთლები კი შეჭამეთ.

თესლების ნახარში

აგვისტოდან დაწყებული ჭინჭარში თესლების წარმოქმნა ხდება. მას ძალიან წვრილი (თითქმის 1 მმ) მოყვითალო ან ნაცრისფერი, მომრგვალებული თესლი აქვს. ჭინჭრის თესლი C ვიტამინს და ცხიმოვან ზეთს, მათ შორის ლინოლეუმის მჟავას შეიცავს.

ჭინჭრის თესლი გამოიყენება შარდკენჭოვანი დაავადებისა და დიზენტერიის დროს, ასევე როგორც ჭიების საწინააღმდეგო საშუალება.

ფოთლებისა და ფესვების ნახარში

ჭინჭარში შემავალი გლიკოზიდ ურიტრიცინი გულის ბუნებრივ სტიმულატორს წარმოადგენს.

ნახარში გამოიყენება საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევის, დიარეას, სისხლის ამოხველების და ცხვირიდან სისხლდენის, ხანგრძლივი და მტკივნეული მენსტრუაციის, ურემიის, ბუასილის, რევმატიზმის, დიაბეტის, ნერვული კრუნჩხვების, ქრონიკული ბრონქიტის და რესპირატორული ორგანოების სხვა დაავადების, სიყვითლის და ღვიძლის დაავადების, კანის დაავადების დროს. ასევე როგორც შარდმდენი და ლაქტაციის გამაძლიერებელი საშუალება.

ნაყენი

ჭინჭრის ფოთლებისგან ნაყენი მზადდება. ამისთვის არაყი უნდა გამოიყენოთ. სამკურნალო საშუალების მოსამზადებლად მცენარის ფოთლები გამოიყენეთ.

1 ნაწილ ფოთლებზე 3 ნაწილი არაყი გამოიყენეთ. 10 დღე დააყენეთ. ჭურჭელი ბნელ, გრილ ადგილას შეინახეთ. თავად ჭურჭელი მინის უნდა იყოს. ნაყენის შესანახად კარადა ან მაცივარი გამოდგება.

10 დღის შემდეგ ნაყენი კარგად უნდა გადაწუროთ.

ფოთლები ბევრ ვიტამინს შეიცავს და ერთგვარ ბუნებრივ ნახევარვიტამინების კონცეტრატს წარმოადგენს: K და B2 ვიტამინები, კაროტინი (14-30 მგ/100 გრ), ასკორბინის მჟავა (100-200 მგ/100გრ) და პანთოტენორუს მჟავა. ასევე 17% ცილა, 10% სახამებელი, დაახლოებით 1 % შაქარი, ბევრი რკინის და კალიუმის მარილი შედის.

ნაყოფში 22%-მდე ცხიმოვანი ზეთია აღმოჩენილი.

ფოთლების ნაყენი

აიღეთ 20 გრ მშრალი ან 330 გრ ჭინჭრის ფოთლები, თერმოსში ჩაყარეთ, შემდეგ 1 ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით, თავზე დაახურეთ და 1 საათით დააყენეთ. შემდეგ ნაყენი გადაწურეთ.

3 ს/კ ჭინჭრის დაქუცმაცებული მცენარე აიღეთ და თერმოსში 2 ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით. 3 საათით დააყენეთ და შეგიძლიათ დალიოთ.

ნაყენის მოსამზადებლად 2 ს/კ ახალი ფოთლები (მშრალი არ გამოდგება) აიღეთ და 400 მლ მდუღარე წყალი დაასხით. 2 საათით დააყენეთ და გადაწურეთ.

გამოიყენება როგორც სისხლდენის შესაჩერებელი საშუალება საშვილოსნოს, ფილტვის, თირკმლის, ნაწლავის, ჰემოროიდული სისხლდენის, ჰიპოვიტამინოზის, ათეროსკლეროზის, ანემიის, თირკმელკენჭოვანი დაავადების, ქოლეცისტიტის, დიზენტერიის, ნეფრიტის, დროს.

როგორც ამოსახველებელი საშუალება ფილტვების ტუბერკულოზის, სასუნთქი გზების დაავადების დროს.

როგორც ლაქტოგენური, მატონიზირებელი, მიომეტრიის და მსხვილი ნაწლავის ტონუსის გამზრდელი საშუალება, ასევე საშვილოსნოს ფიბრომას, შეკრულობის, მწავე და ქრონიკული ენტეროკოლიტის, ეპილეფსიის, ისტერიის, დამბლის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, სახსრების რევმატიზმის, კუნთების ტკივილის, პოდაგრის, ასევე კანის დაავადებების (ძირმაგარა, ჰერპესი) დროს.

თანაყვავილედის ნაყენი

ყველა ნაყენი, ნახარში და ჩაი გამოყენების წინ უნდა გადაწუროთ.

გამოიყენეთ ციებ-ცხელების, რევმატიზმის, თირკმლის ქრონიკული დაავადების, კიბოს დროს. ასევე როგორც ამოსახველებელი, შარდმდენი, ანტიმალიური საშუალება და ქრონიკული კანის დაავადების დროს.

ფესვების ნაყენი და ნახარში

ჭინჭარს ფესვების სისტემა კარგად განვითარებული აქვს. ფესვები ძალიან გრძელი, მცოცავი და მრავალნაწილად დაყოფილია. ფესვები C ვიტამინით და ნიკოტინით მდიდარია.

გამოიყენეთ კუჭის დაავადების, დიარეას, დიზენტერიის, ჭიების საწინააღმდეგოდ, ძირმაგარას, რევმატიზმის, ბრონქული ასთმის, ფილტვების ტუბერკულოზის დროს, ასევე როგორც ამოსახველებელი, ციებ-ცხელების და სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალება. გამოიყენება თმის გასაძლიერებლად.

დაშაქრული ფესვები (შაქრის სიროფში მოხარშული) ხველების დროს ეფექტური საშუალებაა.

გარეგნულად გამოიყენება სველი სახვევების სახით კანის ანთების დროს და სავლები სახით პირის და ყელის ანთებითი პროცესების დროს. ასევე ბუასილის დროს მჯდომარე აბაზანის მისაღებად.

ჭინჭრის ზეთი

ახალი ჭინჭრის ფოთლები დააქუცმაცეთ, ჭურჭელში მოათავსეთ, ოდნავ შეამჭიდროვეთ, ნებისმიერი მცენარეული ზეთი დაასხით, 2 კვირა ბნელ, გრილ ადგილას დააყენეთ, გაფილტრეთ, მუქი ფერის ბოთლში ჩაასხით და მაცივარში შეინახეთ.

ზეთი ჭრილობას შესანიშნავად ახორცებს.

ჭინჭრის ფოთლები ფიტონციდების წყალობით მალფუჭებადი საკვები პროდუქტების შენახვის ვადას ახანგრძლივებს. მაგალითად, გამოშიგნული თევზი, ჭინჭრით ავსებული ან ჭინჭარ მოყრილი ძალიან დიდხანს ინახება).

რატომ ავადობენ დასასვენებლად წაყვანილი ბავშვები და რა უნდა გაითვალისწინოთ კურორტზე წასვლამდე – პედიატრის რჩევები

ზაფხულში, სრულყოფილი დასვენებისთვის, მშობლები ცდილობენ, ბავშვები როგორც მთის, ისე ზღვის კურორტებზე წაიყვანონ. თუმცა, თუ არ გვეცოდინება იმ თავისებურებების შესახებ, რომლებიც კურორტებზე დასვენებას ახლავს თან, შეიძლება, ბავშვის ორგანიზმს სარგებლის ნაცვლად ზიანი მოვუტანოთ. ალბათ, ხშირად გსმენიათ მშობლებისგან, რომ ბავშვები ზუსტად მაშინ უხდებათ ავად, როცა დასასვენებლად მიჰყავთ. პედიატრების თქმით, ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, თუმცა ძირითადი – კლიმატის სწრაფი ცვლილების გამო ადაპტაციის პროცესისგან გამოწვეული გართულებებია.

საზაფხულო დასვენებასთან დაკავშრებულ აქტუალურ საკითხებზე პედიატრს, ბავშვთა ალერგოლოგს, მედიცინის დოქტორს, ავერსის პედიატრიული რეზიდენტურის ხელმძღვანელს ილონა ხიზანეიშვილს ვესაუბრეთ:

– ალბათ, თქვენთანაც არაერთხელ დაუჩივლიათ მშობლებს, რომ ბავშვი ავად მაინცდამაინც მაშინ უხდებათ, როცა დასასვენებლად მიჰყავთ. რატომ ხდება ასე?

– კურორტებზე წასულ მშობლებს მართლაც ხშირად ექმნებათ პრობლემები ბავშვის ჯანმრთელობის, მდგომარეობის გამო, ამას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ერთერთი მთავარი ადაპტაციის პერიოდის სიფრთხილით გავლაა. ადაპტაცია არის ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან, გარემოსა და განსაკუთრებით კლიმატის შეცვლის პირობებში ორგანიზმი იწყებს ფიზიოლოგიურ ადაპტაციას, ახალი გარემო ფაქტორების მიმართ. ეს ერთგვარი სტრესია ორგანიზმისთვის, მას ახლავს ორგანიზმის დაცვითი ძალების დასუსტებაც, ნაკლებად მდგრადი ხდება ახალი და უცხო ანტიგენების მიმართ, თუმცა ეს დროებითია, ფიზიოლოგიური ადაპტაციის მექანიზმები არცისე მარტივია, მასში ჩართულია ორგანიზმის ჰომეოსტაზი, ეს ერთგვარი სტრესია, თუმცა ტრანზიტორულია, ორგანიზმის გაკაჟებაც სწორედ ამას ეფუძნება, ადაპტაციური მექანიზმების მოქნილობას, სხვადასხვა გარემოსა და კლიმატთან შეგუებას, ამან არ უნდა შეგვაშინოს, პირიქით გავახშიროთ და გაკაჟებულ ბავშვსაც მივიღებთ, თუმცა მცირე ასაკში საჭიროა სიფრთხილე და ზომიერება...

– რა დროა საჭირო იმისთვის, რომ ბავშვის ორგანიზმმა ადაპტაციის გავლა სრულყოფილად შეძლოს?

– ახალ კლიმატთან ჰარმონიაში მოსაყვანად ფიზიოლოგიურ ადაპტაციას 23 დღე სჭირდება, ხოლო გარემოსთან შესაგუებლად ბავშვს 57 დღე. უცხო სახეები, ნივთები, ცხოველები, კვების რეჟიმის შეცვლა, ძილის დარღვევა. თუ შორეული მოგზაურობაა, იცვლება ბიოლოგიური საათი, ძილღვიძილის დარღვევა, შივდება არაადექვატურ დროს ან უარს ამბობს კვებაზე. არის გაღიზიანებული ან პირიქით მოდუნებული და ძილიანი, კიდევ ვიმეორებ, ამან არ შეგვაშინოს, ეს ადაპტაციის პერიოდია, თუმცა ძალიან არ უნდა გახანგრძლივდეს, 3 დღის შემდეგ აგზნება ან ძილიანობა უნდა მოიხსნას ან თანდათან შემცირდეს....

აქედან გამომდინარე თუ გვინდა კლიმატის შეცვლით სარგებელი მივიღოთ 23 კვირა უნდა დავაყოვნოთ ბავშვი ახალ გარემოში. მაგალითისთვის: მაღალმთიან კურორტებზე – ბახმარო, გომის მთა, ბეშუმი, ბაკურიანი, აქტიურდება სისხლმბადი ორგანოები და 3 კვირაში ხდება სისხლის ფორმიანი ელემენტების განახლება, შესაბამისად იმუნიტეტის გააქტიურება, განახლება... რაც შეეხება დეზადაპტაციას, ანუ დაბრუნების შემდეგ ძველ გარემოსთან შეგუებას, პროცესი ისევ ისეთივე პერიოდებით მიმდინარეობს, როგორც ადაპტაციის დროს.

– რა უნდა გაითვალისწინონ მშობლებმა, ვიდრე ბავშვს ზღვის კურორტზე წაიყვანენ და ჯანმრთელობის რომელი პრობლემებია დამახასიათებელი ამ საკურორტე ზონაში?

– ზაფხულში დედებსაც და ბავშვებსაც მეტად ზღვის კურორტები იზიდავს, ზღვა, მზე, პლაჟი.. ნამდვილად მიმზიდველია. მართლაც დიდია სარგებელი, განსაკუთრებით ურეკიგრიგოლეთის ზოლზე, სადაც ქვიშა მაგნეტიტს შეიცავს და ფასდაუდებელია ძვალსახსროვანი სისტემის განვითარებისთვის. ასევე, ზღვის ჰაერი გაჯერებულია მიკროელემენტებით, მათ შორის იოდით, ინსოლაცია ასევე დ ვიტამინის უხვი წყაროა, ამიტომ ხშირად გვეკითხებიან პედიატრებს, რა საფრთხები შეიძლება ახლდეს ამ მოგზაურობას, როგორ მოვემზადოთ, რა პრევენციული ზომები მივიღოთ. პირველ რიგში, არცერთ კურორტზე უნდა წავიყვანოთ ბავშვი, როცა რომელიმე დაავადების მწვავე ფაზაა, განსაკუთრების ბრონქული ასთმის გამწვავება, ენდოკარდიტი, ცხელება, ნაწლავური ინფექცია... ხოლო პრევენციისთვის საჭიროა თან ვიქონიოთ საოჯახო აფთიაქი, რომელიც პედიატრთან იქნება შეთანხმებული.

ჩემი პრაქტიკიდან, ძირითად დაავადებები, რაც ზღვაზე დასვენებას ახლავს, არის: ცხელება ვირუსული ან ბაქტერიული დავაადებებით გამოწვეული, ღებინება, ფაღართი, დერმატიტები, დამწვრობა, არაფერს ვიტყვი თერმულ დაზიანებაზე რასაც მზის დაკვრას ვეძახით. ის, რომ ბავშვი უნდა მოვარიდოთ მზის პირდაპირ დასხივებას, ყველამ ვიცით. მზის რადიაცია ძლიერდებს 11 დან 17 საათამდე, ამ დროს მოკლეტალღიური ულტრაიისფერი გამოსხივება განსაკუთრებით ძლიერდება, რაც საშიშროებას ქმნის როგორც ბავშვის, ასევე მოზრდილისათვის.

ჩრდილში, ქოლგის ქვეშ ჯდომა, სითხის მიღება (წყლის) და თეთრი ქუდი სავალდებულოა, ხაზს ვუსვამ წყლის და არა ტკბილი ან გაზიანი სასმელების მიღებას. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ შაქრით გაჯერებული სითხის მიღება კიდევ სხვა პრობლემას ქმნის მზის ქვეშ, სითხე ორთქლდება, ორგანიზმში იმატებს შაქრის დონე, ორგანიზმი ისევ ითხოვს სითხეს, თუ ამ დროს ისევ და ისევ ტკბილი ან გაზიანი სასმელით შევივსებით, კონტროლს დავკარგავთ და შეიძლება ჰიპერგლიკემიური კომა მივიღოთ, ანუ სისხლში შაქრის უსაზღვროდ გაზრდილი რაოდენობა... საშიშროება იქმნება, როცა პატარები სილის ან ქვიშის „გემოს გასინჯვას“ ცდილობენ, ეს ბუნებრივია, აინტერესებთ, ჯანსაღი ინსტიქტია, თუმცა ამან შეიძლება მძიმე ნაწლავური ინფექცია გამოიწვიოს, ამიტომ პატარა დავსვათ ფარდაგზე, თან ვიქონიოთ სუფთა წყალი და ხშირად გადავავლოთ ხელებზე.

– რაც შეეხება მთის კურორტებს, აქ რა საფრთხეებს შეიძლება წავაწყდეთ და როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, რომ მთის კურორტისგან მიღებული სარგებელი რაც შეიძლება მაღალი იყოს?

– მთაში ტემპერატურა შედარებით დაბალია, თუმცა ცვალებადი, ეს სახარბიელო არ არის იმით რომ, ტანისამოსის ხშირ ცვლილებას ითხოვს და გადაციების საშიშროება მთაში მაღალია, ჰაერი მშრალია, სუფთა და აეროიონებით გაჯერებული, ასევე ფიტონციდებით (ბუნებრივი ანტისეპტიკები), ატმოსფერული წნევა მაღალია, განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ გადაცივებას, ტრავმებს, მწერის, ქვეწარმავლის კბენას, ალერგიულ დაავადებებს.

თუ ბავშვს ერთხელ მაინც ჰქონდა ანაფილაქსიის ან ანგიონევროზული შეშუპების შემთხვევა, უნდა ვიყოთ ძალიან მობილიზებული, ვიცოდეთ, არის თუა არა მწერის კბენის საშიშროება, საუკეთესო ვარიანტია აუტოინექტორების ტარება, რაც დოზირებულ ადრენალინს შეიცავს, მისი გამოყენება მომენტალურად აგვარიდებს ანაფილაქსიის მძიმე შედეგს. ტრავმების დროს ჭრილობა ჩამოვბანოთ საპნიანი წყლით (მხოლოდ წყლით არა) დავამუშავოთ ბეტადინის ხსნარით, დავაფაროთ სტერლური ბინტი (არამცდარამც ბამბა), თან გვქონდეს ანტიბიოტიკის შემცველი მალამო. გავითვალისწინოთ აცრების მნიშვნელობა, თუ ბავშვს კალენდარული აცრები ჩატარებული აქვს სრულყოფილად, მას ქვეწარმავლის კბენის ან ჭრილობის შემთხვევაში დამატებით 10 წლამდე ტეტანუსის აცრა არ დასჭირდება, თუმცა მაინც დავუკავშირდეთ პედიატრს, უნდა გვქონდეს მასთან სატელეფონო კომუნიკაცია...

– და ბოლოს, რა არის თქვენი მთავარი რეკომენდაცია მშობლებისთვის, რომლებიც გეგმავენ საკუთარი შვილები დასასვენებლად წაიყვანონ?

– არ დაგვაგიწყდეს სააფთიაქო ჩანთა, რომელიც ჩვენთვის ფასდაუდებელი აღმოჩნდება საჭიროების დროს, მასში უნდა იყოს: სიცხის დამწევი, ღებინების საწინააღმდეგო და ანტისაფაღარათო მედიკამენტები, მიკროოყნა, ბეტადინის ხსნარი, სტერილური ბინტი, ანტიბიოტიკის შემცველი მალამო, რომელიმე ანტიჰისტამინის შემცველი მალამო და დასალევი სიროფი.

თინათინ ზვიადაძე
ambebi.ge

საჭმელი სოდის გამოყენების 12 საშუალება თქვენს ბაღში

სოდა ბაღში და ბოსტანში-ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მცენარეებისათვის!

1. სოდის საშუალებით შესაძლებელია ნიადაგის მჟავიანობის შემოწმება. დაასველეთ ნიადაგი მცირე რაოდენობის დისტილირიზებული წყლით, რომელშიც იქნება სოდა გახსნილი. თუ ნიადაგი ძლიერად დაიწყებს ბუშტების ამოშვებას – მჟავიანია, თუ ცოტა ბუშტები შეიმჩნევა – სუსტი მჟავიანობის, თუ არ ექნება არავითარი რეაქცია – ნიადაგი ნეიტრალურია;

2. სოდა არის სოკოსაგან მცენარეების დამცავი იაფი საშუალება, მით უმეტეს დაწყების სტადიაში. 5 ლიტრ წყალში გახსენით 4 მაგიდის კოვზი სოდა და მიასხურეთ მცენარეებს;

3. სოდა მოგაცილებთ ბაღის ლოკოკინებს და ლიქორებს. მიაფრქვიეთ იგი მათ დისლოკაციის ადგილებში, სოდასთან შეხებით იხოცებიან;

4. გინდათ გქონდეთ ტკბილი და გემრიელი პომიდორი? მიაფრქვიეთ პომიდორის ნარგავის გარშემო სოდა, დააქვეითებს ნიდაგის მჟავიანობას და მიიღებთ პომიდვრის ტკბილ ნაყოფს;

5. ყვავილების თაიგული შეინახება დიდხანს, თუ მოჭრილი ღეროებით ჩააწყობთ წყლიან ლარნაკში, რომელშიც იქნება ჩაყრილი ნახევარი ჩაის კოვზი სოდა;

6. სოდის მეშვეობით მიიღებთ ყურძნის უხვ და ჯანსაღ მოასავალს, ზრდის ასევე მის შაქრიანობას. შეასხურეთ ვაზს 10 ლიტრ წყალში გახსნილი 75 გრამის სოდა. ამ შემთხვევაში ვაზი დაცულია ნაცრისფერი ჭრაქისაგან და ფოთლის გამანადგურებელი მწერებისაგან;

7. დამწყებ სტადიაში იცავს ნაცროვანი სოკოებისაგან ვარდსა და კიტრს. გახსენით 1 ჩაის კოვზი სოდა 1 ლიტრ თბილ წყალში და კვირაში ერთხელ შეასხურეთ;

8. რათა მოაცილოთ კომბოსტოს თეთრულას მუხლუხოები, მიაფრქვიეთ ფურცლებზე სოდა;

9. სოდა ზრდის პომიდორის და კიტრის მოსავლიანობას 25-30 პროცენტით. დაამზადეთ სოდიანი ხსნარი – 10 გრ სოდა 1 ლიტრ წყალზე და დაალბეთ თესლები 24 საათით. შემდეგ გარეცხეთ გამდინარე წყალში, ოდნავ შეაშრეთ და დათესეთ;

10. ანეიტრალებს არასასიამოვნო სუნს ეზოს ტუალეტში და კომპოსთის გროვაზე. ჩაყარეთ ერთი ყუთი სოდა ტუალეტში, ანდა მოაფრქვიეთ კომპოსტს. გარკვეული დროის შემდეგ სუნი გაქრება;

11. მოიცილებთ ჭიანჭველებს. მცირე რაოდენობის შაქრის პუდრა გადაურიეთ თანაბარი რაოენობის სოდას. შემდეგ მოათავსეთ იმ ადგილებში, სადაც შენიშნეთ ჭიანჭველები. შაქარი მიიზიდავს ჭიანჭველებს, სოდა კი დახოცავს;

12. დაიბანეთ ხელები, როდესაც მოჩებით თქვენს ბაღში მუშაობას. ხელებში შეიზილეთ სოდა და ჩამოიბანეთ წყლით. მიღებული ეფექტი საპონზე საუკეთესოა!!

დაიმახსოვრეთ! მცენარეებთან დაკავშირებით, აუცილებლად დაიცავით დოზირება და შენამვლის ვადები....

გეპატიჟებათ კაფე „გოგლი“

თუ სურვილი გაქვთ დააგემოვნოთ ოჯახური სამზარეულოს უგემრიელესი კერძები, ეწვიეთ ყოფილი „რაიაღმასკომის“ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კაფე „გოგლის“, სადაც გიორგი ოსიაშვილის ოჯახი მოგემსახურებათ მაღალ დონეზე.

აქ დაგხვდებათ საუცხოო გარემო და შეგიძლიათ შეუკვეთოთ ხინკალი, ქაბაბი, საქონლის ხორცით მომზადებული კერძები, ხაჭაპური, ყველის ასორტი, შემწვარი კალმახი, ქათმის სალათი, ცივი ლუდი და უალკოჰოლო სასმელები.

მეფე დავით აღმაშენებელი

მეფე დავით აღმაშენებელი დაფიქრებული დიდხანს ზის სამეფო ტახტზე, წამწამები ძირს დახრილი აქვს და ერთ წერტილს ჩაშტერებია. თავზე სამეფო გვირგვინი უბრწყინავს და თავი ოდნავ აქვს დახრილი. უცებ სწრაფად წამოდგა სამეფო ტახტიდან და საწერ მაგიდას მიუჯდა. მაგიდაზე დალაგებულ ბუმბულის კალამს, მელანს, საწერ გრაგნილს მისწვდა და დაიწყო წერა. წერს აუჩქარებლად და დადინჯებით. სახე ოდნავ შეეცვალა და თვალთა მოძრაობით მზერას აყოლებს ყოველ წინადადებას, ბუმბულის კალამს ზუსტად უმიზნებს სამელნის წრეს, ისე, რომ მის სამზერლად დროს არ ხარჯავს. დაუღალავი მარჯვენიდან ფურცლებზე გადააქვს ლამაზად მოთაზული ქართული ასოები. წინადადებას წინადადება მისდევს და ამასობაში გვერდი შეავსო, შევსებული გრაგნილი გადადო გვერდზე, სუფთა გრაგნილზე განაგრძო წერა. დროდადრო შეწყვეტს გონებაში რაღაცას, აწონ-დაწონის და ისევ აგრძელებს და ასე მეორე, მესამე და კიდევ რამდენიმე გრაგნილი შეავსო. ბინდი წამოეპარა, ძლივს არჩევს ასოებს, თითქოს არ სურს წერის შეწყვეტა, მაგრამ სხვა გზა არ არის. ბუმბულის კალამი სამელნეში ჩადო ადგა და შანდალზე სანთელი აანთო. განათდა სადარბაზო, ისევ მოთავსდა მაგიდასთან, დაწერილი წაიკითხა, წერა განაგრძო. ვახშმობამდე მოუწია წერა სანამ არ მოახსენეს: – სუფრა მზადაა, – ბუმბულის კალამი დადო ადგილზე, ყველა გრანილი დააწყო მწყობრისად და თავიდან გადაიკითხა დაწერილი მასალა კმაყოფილი სახით და თვალებში ჩამდგარი დაღლილობით დაალაგა გრაგნილი მაგიდაზე, ადგა სკამიდან და სწრაფი ნაბიჯით დატოვა სადარბაზო. სანთლის ციმციმა შუქზე დალაგებული გრაგნილიდან მოჩანს დაწერილი წინადადება: – ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი, ყოველმან წყალობა ჰყავით საქართველოს ყოვლის მპყრობელმან ვისურვე დავით! – რომელიც წერია გელათში!

მერი პატარქლიშვილი

კიდევ ერთხელ გილოცავთ!

90 წლის წინ, რომელიღაც უჭკვიანესი, ჩვენი მიწა-წყლის შვილის ტვინის უჯრედში აზრმა გაიელვა, აზრი ფიქრად იქცა, აზვავდა, გადმოხეთქა და მრავალი დააფიქრა.

კარგია, შეიძლება, თქვეს და...შეიკრიბნენ, ისაუბრეს: იყო დავა, იყო წინააღმდეგობები. მერე – გაჭირვებასთან დაპირისპირებული მავანთა და მავანთა მტკიცეზე მტკიცე ნებისყოფა, დიდი მოწადინება და დაბრკოლებებთან შეჯახება. იყო ადამიანისთვის მინიმალური საარსებო პირობების უქონლობა, სიცივე შიმშილი, ავადობა და მაინც გათენდა, დაერქვა სახელად „ყვარელი“. მან სინათლე იხილა დღისა, ხოლო დღემ იხილა ახალი რამ – გაზეთი, თავისი ღვიძლი შვილების სული გული, ავი და კარგი, სუნთქვა. ის ყველამ შეიყვარა. ვულოცავ გაზეთ „ყვარელს“ და მის მკითხველებს ამ დიდ იუბილეს, 90-ე წლისთავს!

ნინო იშხანიძე

თაფლი და დარიჩინი

თაფლი სრულფასოვანი სუპერპროდუქტია. ის გულის დაავადებებისა და კიბოს საპროფილაქტიკო საშუალებაა.

ამის მიზეზი მასში დიდი კონცენტრაციით ფლავონოიდებისა და ანტიოქსიდანტების არსებობაშია. თაფლი ასევე აქვეითებს წყლულოვანი დაავადებისა და კუჭ-ნაწლავის სისტემის სხვა პათოლოგიების, კერძოდ ბაქტერიული გასტროენტერიტის, რისკს.

სოკოს საწინააღმდეგო და ანტიბაქტერიული ეფექტი ასევეა თაფლის არსენალში წყალბადის ზეჟანგის გამომმუშავებელი ენზიმის არსებობის ხარჯზე. გარდა ამისა, თაფლი ხელს უწყობს ჭრილობებისა და დამწვრობისას ქსოვილების რეგენერაციასა და აღდგენას. თაფლი აუმჯობესებს სპორტსმენების მაჩვნებლებს. ის ამცირებს დატვირთვის შემდეგ რეგენერაციისთვის საჭირო დროს და აღადგენს გლიკოგენის დონეს.

თაფლში შეიძლება ვიპოვოთ სასარგებლო ბაქტერიები (6 ტიპის ლაქტობაქტერია და 4 ტიპის ბიფიდობაქტერია). გამოდის, რომ თაფლი იდეალური პრობიოტიკიცაა. ადგილობრივი გამოყენებისას კი, თაფლი აუმჯობესებს კანის მდგომარეობასაც.

თაფლისა და დარიჩინის სამკურნალო თვისებები იდეალურია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უამრავი პრობლემის მოსაგვარებლად. მათი კომბინაცია აქტიურად გამოიყენება ნაღვლის ბუშტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა სამკურნალოდ, ქოლესტერინის დონის მოსაწესრიგებლად, გრიპის, გაციების, ართრიტის და სხვა დავადებათა სამკურნალოდ.

როგორ გამოვიყენოთ თაფლი და დარიჩინი სხვადასხვა დავადებათა სამკურნალოდ?

ამ რეცეპტის შემადგენელი იგრედიენტების კომბინაცია საკმაოდ გემრიელია.

თაფლისა და დარიჩინის კომბინაცია შეიძლება გამოიყენოთ სხავადასვა გზით. შემოგთავაზებთ რამდენიმე რეცეპტს, რომლებიც უებარი საშუალებაა, მთელ რიგ დაავადებათა სამკურნალოდ.

1. გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა სამკურნალოდ

ეს რეცეპტი უგემრიელესია. აიღეთ პურის ნაჭერი, წაუსვით თაფლში არეული დარიჩინი და გემრიელად მიირთვით საუზმეზე. ამ ორი უძლიერესი იგრედიენტის ამ გზით გამოყენება არეგულირებს ქოლესტერინის დონესა და აფერხებს გულის დაავადებებს.

2. არეგულირებს ქოლესტერინის მაღალ დონეს

აიღეთ 2 ს. კ. თაფლი, დამატეთ 3 ჩ. კ. დარიჩინი, აურიეთ და დაამატეთ 1 ჩ. ჭ. წყალი. მომზადებული სასმელი მიიღეთ დილით და ორ საათში 10%-ით შეიმცირეთ ქოლესტერინის დონე.

3. ნაღვლის ბუშტის ინფექცია

აიღეთ 1 ფინჯანი ადუღებული წყალი, დაამატეთ 2 ჩ.კ. დარიჩინი და 1 ჩ. კ. თაფლი. ღვიძლის ინფექციის საწინააღმდეგოდ მომზადებული ნაყენი მიიღეთ დღეში ერთხელ.

4. ართრიტი

ქრონიკული ართრიტის სამკურნალოდ თაფლი და დარიჩინი არათანაბარი რაოდენობით უნდა მიიღოთ. 1 ჩ. ჭ. წყალს დაამატე 2 ს. კ. თაფლი და 1 ს. კ. დარიჩინი. მომზადებული ნაყენი მიიღეთ დღეში 2-ჯერ.

5. აძლიერებს იმუნურ სისტემას

თაფლისა და დარიჩინის კომბინაცია ვირუსებისა და ბაქტერიული ინფექციებისგან ორგანიზმის უებარი დამცველია. მიიღეთ ყოველ დღე ამ ორი უძლიერესი პროდუქტის კომბინაცია თქვენთვის ხელსაყრელი გზით და გაიძლიერეთ ორგანიზმის იმუნური სისტემა.

6. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება

გაციება შეგიძლიათ მოირჩინოთ თაღლისა და დარიჩინის კომბინაციით. აიღეთ 1 ს. კ. თაფლი და აურიეთ მეოთხედი ჩ. კ. დარიჩინი. მომზადებული ნაყენი მიიღეთ დღეში 2-ჯერ და განიკურნეთ გაციებისგან, ქრონიკული ხველისგან, გაითავისუფლეთ ცხვირის სასუნთქი გზები.

გამოიყენეთ ხალხური მედიცინის რეცეპტები და ბუნებრივი პროდუქტების საშუალებით მოიგვარეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

გამოგეთხოვა შენი საფიცარი ყვარელი

ამ ცხოვრებიდან წავიდა გაზეთ „ყვარელი“-ს ყოფილი რედაქტორი, ჩვენი რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ღვაწლმოსილი წარმომადგენელი, შემოქმედებითი ნიჭითა და უნარით გამორჩეული პიროვნება ვალერი ზურაშვილი.

ჩვენი ვალერი ვასილიჩი!

მიზანდასახულობა, ინტელექტი და კაცთმოყვარეობა – ეს სამი თვისება კარგად იყო შერწყმული მის ბუნებაში, სხვა უამრავ ადამიანურ შეგრძნებებთან ერთად, რასაც კაიკაცობა ჰქვია. ალალი, ნაღდი, უღალატო, დახვეწილი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხიბლით, შრომით, უანგაროდ, უხვად უნაწილებდა თავის მრავალრიცხოვან სამეგობროს სითბოს და სიყვარულს.

ალალს, უკეთესი მომავლის რწმენით გულანთებულს და სამშობლოს ბედ-იღბალზე მოფიქრალს, სიცოცხლის 81-ე წელს შეუწყდა გულისცემა. რას წარმოვიდგენდით, რომ გული უღალატებდა, ის გული, რომელსაც ასე უყვარდა სიცოცხლე და რომელიც მამულზე, შვილებზე, შვილიშვილებზე და მათ მომავალზე ფიქრით იყო სავსე.

გვიჭირს, ძალიან გვიჭის მის შესახებ წარსულ დროში ლაპარაკი. იგი ხომ მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ჩვენს გვერდით იყო, ჩვენთან ერთად იზიარებდა ამ ნარ-ეკლიანი წუთისოფლის პერიპეტიებს.

ვალერი ზურაშვილი 1973 წელს დაინიშნა გაზეთ „ყვარლის“ რედაქტორად. ახალგაზრდა, ნიჭიერი ჟურნალისტი მაშინ გაზეთ „სახალხო განათლებაში“ მუშაობდა განყოფილების გამგედ და სხვათა შორის, ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების მაშინდელი გამგის დავით ლაფაჩიშვილის რეკომენდაციით იქნა მოწვეული ჩვენი გაზეთის რედაქტორად. მას შემდეგ იგი ჩვენი რაიონის მკვიდრი გახდა. მუშაობდა პარტიის რაიკომის მესამე მდივნად, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, მაგრამ მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო მაინც ჟურნალისტიკა გახლდათ და თავდადებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს – ჟურნალისტიკის რთულ პროფესიას. იგი იმ თაობის წარმომადგენელი იყო, თავდავიწყებით რომ უყვარდა წიგნი და კითხვა, კალამი და წერა! მისი სულის განუყოფელი ნაწილი იყო ქართული ენა და ლიტერატურა, ჩვენი სასიქადულო პროზა და პოეზია.

მისი პიროვნების დასახასიათებლად თუნდაც ჩვენი საერთო მეგობრის გორა შავგულიძის სიტყვები იკმარებდა: „შეუძლებელია არ მოვეფერო არაჩვეულებრივ ადამიანს, უგანათლებულეს კაცს ვალერი ზურაშვილს, რომელმაც უზომოდ შეიყვარა ყვარელი და ყვარლელები. იგი წლების მანძილზე თავკაცობდა გაზეთ „ყვარელს“, ამასთან ერთად მკითხველს აჩუქა ისეთი წიგნები, როგორიცაა – „თქვენი ვარ შვილი“, „კახეთი“, „ყვარელი“ და სხვა მრავალი.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის 180 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული ვალერი ზურაშვილის წიგნი „თქვენი ვარ შვილი“, მართლაც რომ უნიკალურია და სამარადისოდ დარჩება ისტორიაში, რა თქმა უნდა, ავტორთან ერთად.

სამწუხაროდ, ამ დიდი შემოქმედებითი უნარის კაცს ბოლო წლებში ჯანმრთელობამ უმტყუნა. ამის მიუხედავად იგი ფარ-ხმალს არ ყრიდა და მისთვის ჩვეული შემართებით განაგრძობდა მოღვაწეობას. იყო ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, საზოგაოება „წმინდა ილია მართლის გზის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელძღვანელი. სიცოცხლის ბოლო დღეებში ფიქრობდა ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებაზე. განსაკუთრებით აშფოთებდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები. მიაჩნდა, რომ საჭირო იყო მუშაობის გააქტიურება ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური, უცხო ძალების მიერ თავსმოხვეული მავნე წეს-ჩვეულებებისა და მიუღებელი ცხოვრების წესის მიმართ. გარყვნილებისა და სოდომიზმის პროპაგანდის წინააღმდეგ შეიმუშავა ამ მიმართულებით მოქმედების მონახაზი, ერთად შევხვდით იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვარს მამა ბენიამინს, დავსახეთ გარკვეული პროგრამა, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად განსაჯა: ამ შეხვედრიდან მესამე დღეს ჩვენი ვალერი წუთისოფელს განერიდა! ასე დარჩა განუხორციელებელი მისი ბოლო პატრიოტული ჩანაფიქრი...

წავიდა ჩვენი ვალერი ვასილიჩი, ჩვენი ძმა და მეგობარი, წავიდა და დაგვიტოვა დიდი სიცარიელე, რასაც ვერაფერი შეავსებს. მისი წასვლით ერთი პატარა, მაგრამ ლამაზი შტრიხი დააკლდა ჩვენს ქალაქს, ჩვენს სამეგობროს, სანათესაოს, მთელ საზოგადოებას!

მშვიდობით ჩვენო მუდამ მოღიმარო, კეთილმოსურნე, ლამაზი სულისა და ფიზიკური აღნაგობის მქონე ღირსეულო ადამიანო! შენი დავიწყება ყოვლად შეუძლებელია!

ასეთი ყოფილა ჩვენი უკუღმართი წუთისოფლის კანონზომიერება, თუ ამას კანონზომიერება შეიძლება ეწოდოს: თანდათან გვაკლდებიან და გვტოვებენ ჩვენი ცხოვრების თანაზიარი ადამიანები, გვტოვებენ და რჩებიან ხსოვნაში, როგორც დიდი ტკივილი და მოუშუშებელი იარა! ჩვენც ისღა დაგვრჩენია, მოგონებებით ვესაუბროთ მათ დროსა და სივრცეში... უფალმა ინება ასე...

და ბოლოს მადლობა გვითქვამს ჩვენო დაუვიწყარო ვალერი ვასილიჩ: კარგი მამულიშვილობისათვის, ნიჭიერებისა და განსწავლულობისათვის, მეგობრობისა და ძმობისათვის, წლების განმავლობაში დაუღალავი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის!

გემშვიდობებით დიდი ქართველი პოეტის ლექსის ერთი სტროფით:

„ოთხმოცი წელი მიილია,
დადნა წამებად,
არც გათენება მიხარია,
არც დაღამება,
სიცოცხლე გრძელი რომ მეგონა,
მოკლე ყოფილა,
მოკლე ყოფილა, თვალის ერთი
დახამხამება!“

მშიდობით, ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში!

მეგობრები: ალიმან ლაფაჩიშვილი, მერაბ სეფაშვილი, ზურაბ ტუშური, მიხეილ სამხარაული, ალექსანდრე გიგილოშვილი, აკაკი ჯოხაძე, ლერი ტურაშვილი, სოსო ავაზაშვილი, რამაზი გოგიტაშვილი, გოჩა შავგულიძე, ვიტალი მირინაშვილი, ნუგზარ ღონიაშვილი, ვახტანგ მეტრეველი, ვაჟა ჭერაშვილი, ზაურ ცუკილაშვილი, თენგიზ ხუხიაშვილი, ტარიელ გრატიაშვილი, მამუკა ბერიაშვილი, სულიკო ბაბლომაშვილი, სოსო ფუტკარაძე, მერაბ კოკორაშვილი, ვაჟა ტურაშვილი, ილია ჩხეიძე.

მაინც ვინ იყო ვალერი ზურაშვილი?პირველ რიგში საუკეთესო მამა და მეუღლე, უღალატო მეგობარი და უნიჭიერესი ჟურნალისტი

ჩვენო ვალერი, მაპატიე, რომ ვერ გაგაცილე სამუდამო სასუფევლისაკენ. ვერ გითხარი, თუ რა ძალიან ბევრს ნიშნავს თქვენი პიროვნება ჩვენთვის, ყვარლელებისათვის. იშვიათია, მოსული, შემდეგ კი აქ დამკვიდრებული ადამიანი ისე დაფასონ და შეიყვარონ, როგორც თქვენს შემთხვევაში მოხდა.

სამწუხაროდ, დროის მსახვრალი ხელი იმ დროს შეგეხოთ, როცა თქვენს გონებას ოდნავი ჩრდილიც კი არ ჰქონდა მიყენებული.

მე, როგორც განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს, ხშირად მიხდებოდა თქვენთან შეხვედრა, შემდეგ ეს ურთიერთობები მეგობრობაშიც გადაიზარდა. კომუნისტური რეჟიმის მიუხედავად, თქვენ, როგორც ყვარლის პარტიის რაიკომის მესამე მდივანი, ყოველთვის იყავით ნიჭიერებისა და თავისუფალი აზრის პატივისმცემელი, დაჩაგრულთა ქომაგი, სამართლიანი, ერთგული და გამტანი, – ასეთად დარჩით ბოლომდე, ამიტომაც ყველასათვის თავზარდამცემი აღმოჩნდა თქვენი გარდაცვალება.

ყოველთვის, როცა ჩემთვის ძვირფას ადამიანს ვკარგავ, უნებურად იხსნება დროის სარკმელი და წარსულისაკენ მახედებს. ყველაფერი, რაც წარსულში მოხდა, მარადიული დროის საკუთრებად იქცა. არა, ეს არ არის მხოლოდ ახალგაზდრობის მონატრება, იმ განუმეორებელი დღეების რესტავრაციის მცდელობა. ვფიქრობ, ეს არის იმ ურთიერთობების მონატრება, რაც დღეს დეფიციტად იქცა. გულს ყველაფერი ახსოვს და ცდილობს ამეტყველებას. უნდა, რომ გააცოცხლოს ყოველივე ის, რისი სიტყვად ქცევაც უმძიმს, მაგრამ კალამსაც უჭირს პწკალის გავლება ალბათ იმიტომ, რომ ხშირად სიტყვა უძლურია გრძნობების გადმოსაცემად.

მაინც ვინ იყო ვალერი ზურაშვილი? პირველ რიგში საუკეთესო მამა და მეუღლე, უღალატო მეგობარი და უნიჭიერესი ჟურნალისტი.

ჩემს საოჯახო ბიბლიოთეკაში გამორჩეული ადგილი უკავია ვალერი ზურაშვილის წიგნს „თქვენი ვარ შვილი“, რომელიც მიძღვნილია ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი. სამართლიანად თქვა ბატონმა ვალერიმ: „ილია ჭავჭავაძეს კი არ უნდა ვკითხულობდეთ, არამედ მას უნდა ვსწავლობდეთ. მისგან უნდა ვსწავლობდეთ ქვეყნის სიყვარულიდან დაწყებული, ყოველდღიური წვრილმანი საკითხებისადმი მიდგომით დამთავრებული, მისგან უნდა ვიღებდეთ მაგალითს“.

ამ სიტყვებით თავად ვალერიმაც უკვდავყო თავისი სახელი და ანდერძად დაუტოვა მომავალ თაობებს ილიას გზით სიარული.

ჩემო ძვირფასო ყვარლელებო, შეიძინეთ ეს წიგნი და „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად გოგონებს მზითვად გაატანეთ, რძლებს კი ოჯახში დაახვედრეთ. დამიჯერეთ, ამაზე ძვირფას საჩუქარს ვერ გაუკეთებთ მათ.

ახლა კი მინდა, ვალერის საუკეთესო მეუღლეს – მარინას, მის შვილებს, მეგობრებსა და მთელ ყვარელს მოგისამძიმროთ ამ საუკეთესო ადამიანისა და უნიჭიერესი ჟურნალისტის ამქვეყნიდან წასვლა.

მერე რა იქნება? მერე ჩემი თაობაც მალე წავა სამუდამო სასუფეველში, მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს, რადგან ჩვენს უკან მოდიან თაობები თავიანთი სურვილებით, მარჯვენით, გონებით, გრძნობებით.

ილიას ნააკვნარზე ივლიან ჩვენი ღირსეული შვილები და შვილიშვილები, მთელი მათი მოდგმა.

ბედნიერებაა, როცა ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ ტოვებ ნათელ კვალს, როცა შენი შთამომავლობა სიამაყით იტყვის, ვისი გვარისაც არის.

აი, ეს არის ცხოვრება.

ზეინაბ ჭიჭიკოშვილი

ქართული დარბაზის დედაბოძის ისტორიიდან

საქართველოს მხარეთა შორის ბუნებრივი გარემოცვისა და მიკროკლიმატური ფაქტორების მკვეთრი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია გეოგრაფიული კონტრასტული პირობებით, უძველესი დროიდან ადამიანისათვის სხვადასხვაგვარ საცხოვრებელ გარემო პირობებს ქმნიდა.

კონტრასტული რელიეფის შეხამება სხვადასხვა ტიპის ჰავასთან და დედამიწის ქერქის მრავალფეროვანი გეოლოგიური სტრუქტურა საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი სახის ადგილობრივი საშენი მასალების რესურსების სიუხვეს ქმნიდა.

ზემოხსენებულმა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი საქართველოს საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე, სხვადასხვა მხარესა და კუთხეში, სხვადასხვაგვარი ტიპის საცხოვრებელთა წარმოშობასა და განვითარებას.

ქართული საცხოვრებელი სახლის გენეზისის დასადგენად საჭიროა საქართველოს ყველა მხარის საცხოვრებელი სახლების ძველებური ტიპების შესწავლა. საქართველოს ცალკეული კუთხეების მიკრორაიონების ადრინდელი სამშენებლო ხელოვნებისა და ხალხური ხუროთმოძღვრების იმ მდიდარი მემკვიდრეობის



გამოკვლევა, რომელიც ძველი ეროვნული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად რჩება.

ქართველი ხალხის უძველესი მსოფლმხედველობის დამადასტურებელი ნივთიერი ძეგლებიდან ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს ქართული „დარბაზული“, ანუ გვირგვინიანი სახლის დედაბოძი წარმოადგენს. „დარბაზული“ სახლის გვირგვინს აგებდნენ კვადრატულ საფუძველზე და საფეხურების მსგავსად წყობილი ხის ნიყურებისაგან შედგებოდა. ჰქონდა ერდო, რომლითაც სინათლე შემოდიოდა და კვამლი გადიოდა.

როგორც ირკვევა, ქართული დარბაზის დედაბოძთან დაკავშირებულია წინაქრისტიანულ ხანაში შემუშავებული რწმენა-წარმოდგენების რთული კომპლექსი.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს რწმენა-წარმოდგენები ქართველთა უძველესი რელიგიური სისტემის საკვანძო იდეებია, რომლებიც ასახავს ძველ წინააზიურ და კავკასიურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ ისეთ მნიშვნელოვან კულტებს, როგორიცაა მცენარეთა, მნათობთა და მათთან დაკავშირებული ცეცხლის და კერის კულტები და სხვა.

ტერმინი „დედა-ბოძი“ იმავეს ნიშნავს, რასაც „მთავარი ბოძი“. იმ გარემოებამ, რომ მთავარი ბოძი ქართულში იწოდებოდა „დედაბოძად“ და არა „მამაბოძად“, შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ეს ტერმინი შემუშავებულია მატრიარქატის ხანაში, როცა ოჯახისა და საოჯახო მეურნეობის მთავარი მესვეური დედაკაცი იყო.

უეჭველია, სიტყვა „დედა“-ს „მთავარი“-ს მნიშვნელობა მხოლოდ იმ ხანაში შეეძლო მიეღო, როცა სახლის, გვარის მთავრად ითვლებოდა დედაკაცი. შესაძლებელია, რომ ქართველ ტომებს მთავარი ბოძი საცხოვრებელი სახლის ან სხვა ნაგებობის ელემენტის სახით მატრიარქატის დროსაც მოეპოვებოდათ.

ყურაღებას იქცევს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული მეორე სახელიც „გულთაბოძი“, რომელიც საცხოვრებელი სახლის ინტერიერის შუა, ცენტრალური ნაწილის, გულის ბოძს უნდა ნიშნავდეს.

დედაბოძი ბან-გვირგვინიანი დარბაზისა და ზოგიერთი ბანიანი სახლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა. კონსტრუქციული თვალსაზრისით მისი არსებითი ფუნქცია იმაში მდგომარეობდა, რომ იგი განსაზღვრული ტიპის სახლების სახურავის, „დარბაზულ“ სახლებში განსაკუთრებით სახურავის ცენტრალური ნაწილის – გვირგვინის საყრდენი იყო.

დედაბოძის თავზე დადებული იყო ბალიში, რომელსაც მთავარი კოჭი – თავხე ეყრდობოდა. თავხე კოჭებს უკავშირდებოდა, კოჭები კი იმაგრებდა სახურავის დანარჩენ ნაწილებს.

ვინაიდან დედაბოძი სხვა ცენტრალურ ბოძებთან ერთად ბან-გვირგვინიანი სახლის ინტერიერში სახურავის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა და დიდი სიმძლავრისათვის უნდა გაეძლო, მზადდებოდა მაგარი ხის ჯიშისგან, ჩვეულებრივ მუხისაგან.

დედაბოძები, რომელთა სიმაღლე ზოგჯერ 6 მეტრს აღწევდა, სხვადასხვა ფორმისაა, მაგრამ ზოგადი ფორმის მიხედვით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, ყველას ლათინური ასო T-ს მოყვანილობა აქვს. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: კორპუსი, ბალიში და ბაზისი, ანუ დედაბოძის საყრდენი, რომელიც ქვისაა.

კონსტრუქციული დანიშნულების გარდა, დედაბოძს დაკისრებული ჰქონდა გარკვეული ესთეტიკური, საოჯახო–ყოფითი და საკულტო ხასიათის ფუნქცია.

დედაბოძს, იმის გამო, რომ დარბაზული სახლის სახურავის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა სხვა ცენტრალურ ბოძებთან ერთად და საგანგებოდ შემკული იყო, წამყვანი ადგილი ეკავა ინტერიერში. იგი, კერასთან ერთად, სახლის ელემენტებიდან უმნიშვნელოვანეს საკულტო ობიექტად ითვლებოდა და გარკვეული სამეურნეო ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული, საოჯახო ყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

ჩვენი წინაპრების მიერ დედაბოძის სოციალურ ინსტიტუტებთან და მოვლენებთან დაკავშირების კონცეფციის მეტად საყურადღებო თავისებურებას ავლენს ერთი ცნობა, რომელიც მცხეთაშია დაფიქსირებული. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ კავშირი დედაბოძს, თავხეს კოჭებს შორის და მათი თანაარსებობა დარბაზული ნაგებობის კომპლექსში გააზრებული იყო ოჯახის სტრუქტურის შესაბამისად.

აღნიშნული ცნობის თანახმად დედაბოძს „დედა“ ეწოდებოდა, იგი ოჯახის უფროს ქალს შეესიტყვებოდა თავისი მნიშვნელობით. თავხე დედაბოძის მეუღლედ მიაჩნდათ, მას „მამა“ ეწოდებოდა და ოჯახის უფროსი კაცის თანხვედრი იყო. კოჭები დედაბოძისა და თავხის შვილებად იწოდებოდნენ.

ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია გადმოგვცემს: „ქართლში სასახლიკაცო ერთობის საღვთო დღეს სახლის კერასა და დედაბოძთან სრულდებოდა საგანგებო რიტუალი, რომლის მონაწილენი მხოლოდ ამ სახლიდან განაყარი სახლიკაცები იყვნენ, რაც სახლიკაცობის გვარიდან გამოყოფის მაჩვენებელი იყო. აქვე სრულდებოდა ინკორპორაციის ცერემონიალი – შარბათის შესმის შემდეგ მეჯვარე ნეფე-დედოფალს დედაბოძის ან კერის ირგვლივ სამჯერ შემოატარებდა“.

დედაბოძებს უპირველესად ასტრალური ორნამენტი ამკობს. მათზე გამოსახულია: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ჯვარი, მცენარე, ცხოველი, ფრინველი, სამკუთხედი, რომბი, ნახევარწრეები, სწორი და ტეხილი ხაზები და ა.შ.

ეს სახეები დედაბოძებზე სხვადასხვა ვარიანტითაა განლაგებული, მაგრამ ძირითადი პრინციპი ამ განლაგებისა უცვლელია.

დედაბოძთა კომპოზიციაში საერთდო ცენტრალური ადგილი მზისა და მთვარის გამოსახულებას უჭირავს, დანარჩენ გამოსახულებათა განლაგება და სიდიდე მათთან შესაბამისია. ამ კომპოზიციაში შემავალი ელემენტების სიმეტრიულ დაჯგუფება-განაწევრებაზე, აღნიშნულის გარდა, უშუალო ზეგავლენას თვით საკომპოზიციო არეს მოყვანილობა ახდენდა, იგი ოსტატის მხატვრულ შესაძლებლობას „ჩაკეტილი კონტურის“ მკაცრად დეტერმინებული სივრცის თავისებურებას უმორჩილდებოდა.

მეტწილად მზისა და მთვარის გამოსახულებათა ცენტრალური დედაბოძის მოხატულ ზედაპირზე გამავალ ვერტიკალურ ღერძზე მდებარეობს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს გამოსახულებანი სიდიდით კომპოზიციაში შემავალ ვარსკვლავთა გამოსახულებებს ბევრად აღემატება; ეს გარემოება შემთხვევითი არ არის და იმაზე მიგვითითებს, რომ მზეს და მთვარეს უძველესი წარმართი ქართველი ტომების შეგნებაში გაღმერთებულ მნათობთაგან მთავარი ადგილი ეკავათ.

ჩვენი წინაპრების მიერ დიდი ოსტატობითა და მხატვრული გემოვნებით ჩუქურთმების ხეზე ამოკვეთის საქმემ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია; მათ მიერ შესრულებული სინატიფით განთქმული მრავალფეროვანი ორნამენტები, როგორც ხუროთმოძღვრული სამკაული გამოყენებულია საცხოვრებელი და საკულტო ხალხური შენობების ექსტერიერისა და ინტერიერის დასამშვენებლად. მათმა ნახელავმა სახელი მოიხვეჭა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

ეჭვი არაა, ბევრს შეგძვენს ამ შესანიშნავი მონაპოვრის საფუძვლიანი შესწავლა, გაფრთხილება და ჩვენი მომავალი თაობებისათვის გადაცემა.

დიდება შენდა, უფალო იესო ქრისტე! ამინ!

ოთარ დავითაშვილი,
ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია-ცენტრის“ დირექტორის მოადგილე, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი



...ბატონი ედუარდის მსგავს ადამიანთა ცხოვრების მაგალითზე უნდა იზრდებოდეს მომავალი თაობა

ყვარლელებს და მთლიანად მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ბევრი საამაყო გვაქვს გამოჩენილი და ღვაწლმოსილი ადამიანებით, რომლებიც აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ ღირსეულ მამულიშვილებად. თუმცა, მოკრძალებული და თავმდაბალი ხასიათის გამო, ბევრი მათგანი ჩრდილშია მოქცეული, ნაკლებად ცნობილია და ამის გამო სათანადოდ არ არის დაფასებული.

დიახ, არიან ადამიანები, რომლებიც თავიათი წარმატების შესახებ ხმამაღლა საუბრობენ, თავს იწონებენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ჩუმად, მუშა ფუტკარივით აკეთებენ კეთილშობილურ საქმეს. სწორედ ასეთი იყო ან გარდაცვლილი ედუარდ ჯანელიძე.

ჩვენმა თანამემამულეებმა უნდა იცოდნენ მისი საინტერესო, მრავალმხრივი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.

ედუარდ ჯანელიძე დაიბადა 1936 წლის 12 მარტს, გაიზარდა ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოლფელში, სადაც მშრომელი, გულმართალი და ერთმანეთის გამტანი ხალხი ცხოვრობს.

ბატონი ედუარდის ოჯახში მუდამ სიმშვიდე და სიყვარული სუფევდა. აქ განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ცოდნას. იცოდნენ, რომ ცხოვრებაში ყველაზე „ძლიერი იარაღი“ იგი იყო. სწორედ ამანაც განაპირობა, რომ ოჯახის ყველა შვილმა წარმატებას მიაღწია.

ამ ოჯახში აღიზარდა ყვარელში საკამაოდ ცნობილი და დაფასებული სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელი ელიზა ჯანელიძე. ედუარდს ძალიან უყვარდა თავისი დები. მას სიკეთე და სიყვარული ცხოვრების საგზლად ჰქონდა გაყოლილი.

ბატონმა ედუარდმა სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. 1965 წელს, როგორც საუკეთესო სტუდენტი კათედრაზე დატოვეს. შემდეგ დაიცვა დისერტაცია და გახდა ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი. იყო ორმოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ამასთან ერთად, ბატონი ედუარდი ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. 1990-1991 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაშიც მას მონაწილეობა არ მიეღო.

ყველაზე საამაყო ის არის, რომ მას ხელი აქვს მოწერილი მე-20 საუკუნის საქართველოს მთავარ მონაპოვარზე – დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

სულ რაღაც ორი წელია, რაც გარდაიცვალა ბატონი ედუარდი. მისი გარდაცვალების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა ასეთი განცხადება გამოაქვეყნა: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი დეპუტატის, მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ ედუარდ ჯანელიძის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს, სრულიად საქართველოს.

ედუარდ ჯანელიძემ, როგორც მეცნიერმა, პარლამენტარმა, ღირსეულმა მამულიშვილმა პირნათლად მოიხადა ვალი საკუთარი სამშობლოს წინაშე, ყველაფერი გააკეთა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. დიდი თანადგომა გაუწია გმირ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სამშობლოსათვის ბრძოლაში.

ედუარდ ჯანელიძის სახელი დაფიქსირებულია მე-20 საუკუნის საქართველოს მთავარ მონაპოვარზე – დამოუკიდებლობისთვის აღდგენის აქტზე და ოქროს ასოებითაა შესული ქართველ მამულიშვილთა ისტორიაში.

ბატონი ედუარდის დიდსულოვნებაზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ პანდემიის მიუხედავად ხალხმრავლობა იყო მის გასვენებაზე.

ბატონი ედუარდ ჯანელიძე, მამაჩემის (ბატონ ზაურ ზარდიაშვილის) უახლოესი მეგობარი იყო. მას ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები და დიდ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავდა მათ მიმართ.

ხშირად მივდიოდი მათ ოჯახში სტუმრად. მან დატოვა ძვირფასი მეუღლე და ორი საუკეთესო ვაჟკაცი, რომლებიც ასეთივე სიყვარულით ემსახურებიან სამშობლოს.

მე კარგად მახსოვს, ბატონი ედუარდი საოცარი დატვირთვის მიუხედავად პოულობდა დროს, ჩამოდიოდა სოფელში და საკუთარი ხელით უვლიდა თავის ვენახს. იცოდა, რომ ვაზი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერის ერთ-ერთი გარანტი იყო.

მიმაჩნია, რომ სწორედ ბატონი ედუარდის მსგავს ადამიანთა ცხოვრების მაგალითზე უნდა იზრდებოდეს მომავალი თაობა. თამამად შემიძლია თქმა: ის უანგაროდ თესავდა სიკეთეს. უყვარდა თქმა: „ბადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო“. მისი სახელის ხსენება ყოველთვის სიამაყის გრძნობით მავსებს.

ვფიქრობ მისი ღვაწლი დაფასდება როდესაც ვიხილავთ გამთლიანებულ საქართველოს, რასაც დიდი იმედებით ველოდებით ყველა ქართველი.

ბატონი ედუარდის სულს კი ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს.

დიდი პატივისცემით
მაია ზარდიაშვილი



ევროკავშირის დაფინანსებით და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ერთი წლის განმავლობაში ზინობიანის შუაგულში მოეწყობა კულტურული ცენტრი

3 ივლისს, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში სამხრეთ კავკასიის კვლევების ამერიკული ინსტიტუტის მხარდაჭერით, ამერიკელი ანთროპოლოგის, ზაქ ფაბოსის და ორგანიზაცია „საქართველოს უდიების“ თანადამფუძნებლის, ალექსანდრე ქავთარაძის მონაწილეობით განხორციელებული პროექტის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა.

ზინობიანში უახლოეს მომავალში, ევროკავშირის დაფინანსებით და ყვარლის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით მუზეუმის გახსნა იგეგმება.

მუზეუმის გახსნამდე, პროექტის ფარგლებში, სოფელში განხორციელდა ძველი ფოტოების გაციფრულება და ნაწილის დაბეჭდვა, ეთნოგრაფიული ნივთების მოძიება, მუზეუმისთვის ინვენტარის ნაწილის შეძენა. გამოიცა ბუკლეტები უდიების შესახებ. პროექტის ფარგლებში შეძენილი კომპიუტერი და პრინტერი სოფლის მომავალ ბიბლიოთეკას გადაეცემა.

ევროკავშირის დაფინანსებით და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ერთი წლის განმავლობაში ზინობიანის შუაგულში მოეწყობა კულტურული ცენტრი – პარკი, მოედანი, მეორე მსოფლიო ომის მემორიალი, ამ სივრცის განაპირას კი სოფლის კლუბის თითქმის დანგრეულ შენობაში განთავსდება საქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და უდიური მუზეუმი.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები თბილისიდან, ყვარლიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და გერმანიიდან. კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციის „საქართველოს ლურჯი ფარის“ დირექტორმა, ქალბატონმა მანანა თევზაძემ ისაუბრა კულტურულ მემკვიდრეობის დაცვაზე და მუზეუმების მნიშვნელობაზე.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ასევე, ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის წარმომადგენლები – ქალბატონ მანანა შეყილაძის ხელმძღვანელობით, „კავკასიური სახლის“ წარმომადგენლები, ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორი მაია ზარდიაშვილი, უფროსი სპეციალისტი მაგული სააკიშვილი და გაზეთ „ყვარელი“-ს წარმომადგენლები, რომელთაც მხარდაჭერა გამოხატეს პროექტის ავტორების მიმართ, ამ მნიშვნელოვან საქმეში.

ია გიგიაშვილი

წყალზე, მით უფრო ზაფხულში, უარის თქმა ყოვლად დაუშვებელია

ზაფხულში ბევრს აშინებს შეშუპების განვითარება და ამ მიზეზით ერიდება სითხის, კერძოდ, წყლის სათანადო რაოდენობით დალევას. სამწუხაროდ, ეს არ არის სიტუაციიდან გამოსავალი, წყურვილის მოთმენა და წყლის მიღებაზე უარის თქმა სიცხეში ყოვლად დაუშვებელია! პირიქით, სიცხეში განსაკუთრებით აუცილებელია წყლის სმის რეჟიმის დარეგულირება და კონტროლი!

წყლის მიღების დღე-ღამური ნორმა სხეულის ერთ კილოგრამზე 30 მლ-ია. გახსოვდეთ, ეს შეეხება, მხოლოდ წყალს, რადგან გაზიანი თუ სხვა ტკბილი სასმელების მიღება ისედაც არასასურველია. ეს სითხეები მხოლოდ და მხოლოდ ტვირთავს სიცხით დასუსტებულ ორგანიზმს და აძლიერებს (ამძაფრებს) წყურვილს.

ზაფხულში აუცილებელია წყლის სათანადო რაოდენობით დალევა, სასურველია მისი ოდნავ შემჟავება ლიმონის წვენით. გაძლიერებული ოფლდენის დროს, სასმელ წყალს შეგიძლიათ მცირეოდენი მარილიც კი დაუმატოთ. ამ რჩევებს ხშირად ითვალისწინებენ ლაშქრობებისას გამოცდილი ტურისტები!

ასე რომ, შეშუპების შიშით წყალზე, მით უფრო ზაფხულში, უარის თქმა ყოვლად დაუშვებელია, ამით მხოლოდ დაასუსტებთ ორგანიზმს და დაამძიმებთ სიცხეში ისედაც გადაძაბულ ნივთიერებათა ცვლას!

როცა ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობის ადამიანები ერთად მღერიან, იქ სულ სხვა ემოცია დევს, უფრო დიდი სიყვარულია

მაის-ივნისის თვეები საკმაოდ აქტიური აღმოჩნდა ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ცენტრის საქმიანობაში. მრავალფეროვანი ღონისძიებები, კულტურული – შემოქმედებითი აქტივობები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები ფოლკლორულ, ქორეოგრაფიულ თუ საესტრადო ჟანრის, რომელიც გაიმართა, ამის ნათელი დასტურია.

ამ ღონისძიებებს შორის, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სასიამოვნო სიახლე იყო, ილიას მუზეუმის სააქტო დარბაზში ერთი გამორჩეული საღამო – „მუსიკალური ოჯახები“, რომლის იდეის ავტორი, ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი და წამყვანი კულტურის განვითარების ცენტრის მთავარი სპეციალისტი მაგული სააკიშვილი იყო.

ღონისძიებაში ცხრა ოჯახი იღებდა მონაწილეობას ყვარლის მუნიციპალიტეტიდან:

ახალსოფლიდან – წყალობაშვილების, დაუდაშვილების და სვიმონიშვილების ოჯახები; ჭიკაანიდან – ხარაზიშვილების; შილდიდან – კაკონაშვილების და პეტრუზაშვილების; ყვარლიდან – ჩიხიაშვილების, ბენდიანიშვილების და ცირიკაშვილების ოჯახები.

კონცერტზე შესრულდა ქართული ფოლკლორული და პოპულარული ქართული სიმღერები, რომელიც დღეს თითქოს მივიწყებულია. მუსიკალური ოჯახების სიმღერები ყველაზე საინტერესო იმით იყო, რომ საკუთარი ინტერპრეტაციით შემოგვთავაზეს ჩვენთვის ნაცნობი და საყვარელი ქართული სიმღერები.

ქალბატონი მაგული სააკიშვილი არაერთი მუსიკალური პროექტის ავტორია და თამამად შეიძლება ითქვას, თავისი

საქმიანობით პოპულარიზებას უწევს ქართულ სიმღერას, მასთან დაკავშირებულ ტრადიციებსა და კულტურას. რაც შეეხება ამ პროექტზე მუშაობას, ეს პროცესი რამდენიმე თვე გრძელდებოდა. პანდემიისგან გამოწვეული შეზღუდვების და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების მიუხედავად პროექტი წარმატებით შედგა და ეს კვლავაც გაგრძელდება, ვინაიდან, როგორც ქალბატონმა მაგულიმ აღნიშნა: ბევრი მუსიკალური ოჯახია ყვარლის მუნიციპალიტეტში და გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ამ კონცერტში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

როცა ვსაუბრობთ იმაზე, თუ რით არის მნიშვნელოვანი მუსიკალური ოჯახების წარმოჩენა და ასეთი ღონისძიების ჩატარება, ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ასეთმა ოჯახებმა ბევრი ძველი, მივიწყებული სიმღერები შემოინახეს და ჩვენამდე მოიტანეს. ამასთან ერთად, როცა ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობის ადამიანები ერთად მღერიან, იქ სულ სხვა ემოცია დევს, უფრო დიდი სიყვარულია და ეს ნათლად გამოჩნდა ამ ღონისძიებაზე.

დასასრულს, ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორმა მაია ზარდიაშვილმა თითოეულ ოჯახს საჩუქრად გადასცა ვალერი ზურაშვილის საავტორო წიგნი ილია ჭავჭავაძეზე – „...თქვენი ვარ შვილი“.

როგორ მაგული სააკიშვილმა აღნიშნა, ეს პროექტი კვლავ გაგრძელდება და ტრადიციულ სახეს მიიღებს.

ია გიგიაშვილი

ამ ბიჭს დიდი მომავალი ელის,
უამრავ წარმატებას მოუტანს მშობლიურ ყვარელს და ჩვენ ქვეყანას

მინდა საბერძნეთში მოღვაწე ქართველი მებრძოლი ბიძინა ონოფრიშვილი გაგაცნოთ.

24 წლის სპორტსმენი წარმოშობით ყვარელიდანაა.

ჯერ მხოლოდ 3 თვეა შეაბიჯა პროფესიონალურ MMA-ში, ვინც მის დებიუტს ნახავს დარწმუნებული ვარ გულგრილს არ დატოვებს მისი საბრძოლო ტალანტი, რაშიც დიდ წვლილს მისი მრავალხმრივი სპორტული ცოდნა თამაშობს.

12-16 წლის ასაკამდე ძიუდოთი, ხოლო შემდეგ კრივით იყო დაკავებული, რასაც კიკბოქსინგს უთავსებდა. ასევე ბრწყინვალედ ფლობს სანდას. იყო საქართველოს ნაკრების წევრი, საქართველოს და ევრაზიის ჩემპიონი, ევროპის პრზიორი.

MMA-ში პირველი პროფესიონალური ბრძოლა 4 ივნისს გამართა, ორგანიზაცია MCP-ს ეგიდით.

ბრძოლა ფეხზე იწყება და აშკარად ჩანს ქართველის უპირატესობა დგომში, განსაკუთრებით კრივის ასპექტში, რამდენიმე კარგი გათვლის შემდეგ მეტოქეს მხოლოდ თავის გადარჩენის მიზნით ფეხში შესვლა რჩება, რაც ასევე წარუმატებელია, რადგან ჭიდაობის ასპექტშიც არის უპირატესობა ქართველის მხარეს, რასაც კვლავ მოჰყვება ფეხზე ბრძოლა და უფრო დიდი ზიანი მოწინააღმდეგის სახეზე და ძალიან მცირე გვაკლდება პირველი რაუნდის ფინიშამდე... მეორე რაუნდი მშვიდად იწყება, თუმცა მეტოქე პირველივე დარტყმის მიღებისას კარგად იაზრებს, რომ ფეხში შესვლა ერთადერთი გამოსავალია, მაგრამ წარუმატებლად აკეთებს ამას, სამაგიეროდ ბიძინა ჯერ დგომში აყენებს რამდენიმე დამაზიანებელ დარტყმას და შემდეგ უკვე ხარისხიანი გდების შესრულებას ზედა პოზიციიდან მძიმე „Ground and Pound“-ს მიაყოლებს და გამარჯვებაც მას რჩება.....

მჯერა ამ ბიჭს დიდი მომავალი ელის, უამრავ წარმატებას მოუტანს ჩვენს ქვეყანას. ვუსურვებთ წარმატებებს, სპორტულ იღბალს და უტრავმო კარიერას.

MMA Georgia

შესაძლებელია თუ არა ამონიუმის გვარჯილის შედარებით იაფი საშუალებებით ჩანაცვლება?

ამონიუმის გვარჯილის შემადგენლობას, შეტანის წესს და ხარჯვის ნორმას თუ არ გავითვალისწინებთ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა აზოტიანი სასუქები. მოგეხსენებათ ამონიუმის გვარჯილის სწორი ხარჯვის ნორმით მოსავლიანობა დაახლოებით 35%-მდე იზრდება. თუ ამ შემთხვევაში შევადარებთ კომბინირებულ წამლობას 10-15 დღიანი ინტერვალებით, შემდეგი ხარჯვის ნორმით აგამინ ექსტრა (500მლ) +აგასოლი NPK 19:19:19 (1კგ) / ჰა – შედეგი თვალსაჩინოა.

მოგეხსენებათ ამონიუმის გვარჯილა NH4NO3 მიიღება ამიაკის და აზოტმჟავის ურთიერთმოქმედებით; კარგად იხსნება ნიადაგის ტენში და მცენარეები შეტანილი სასუქიდან უფრო ინტენსიურად ითვისებს NH4+ კათიონს, ამიტომ ამ სასუქის ინტესიური შეტანა სუსტად ამჟავებს ნიადაგს. ასევე უმნიშვნელოდ გაზრდილი ხარჯვის ნორმებიც აბინძურებს გრუნტის წყლებს, ჰაერს, ნიადაგს და მცენარეულ პროდუქტებს ნიტრატული და ამიაკური

ფორმის სასუქების ანალოგიურად. ამის გათვალისწინებით და ეკოლოგიური თვალსაზრისით, შესაძლებელია როგორც ერთწლიანი ისე მრავალწლიანი კულტურების ზემოთხსენებულ წყალში ხსნადი სასუქებით (აგამინ ექსტრა +აგასოლი NPK 19:19:19) გამოკვება, რომლიც შესაძლებელია გამოიყენოთ როგორც ფოთლოვანი, ისე წვეთოვანი გამოკვების გზით.

არსებობს ასევე ნიადაგში აზოტის შევსების სხვა გზებიც: ნალექებით ნიადაგში ხვდება ჭექა-ქუხილის დროს დაჟანგული აზოტი 5-10 კგ რაოდენობით. ნიადაგში თავისუფლად მცხოვრები მიკროორგანიზმებით და პარკოსანთა ფესვებზე სიმბიოზურად მცხოვრები კოჟრის ბაქტერიების მიერ. ნიადაგში თავისუფლად მცხოვრებ ბაქტერიებს 1 ჰა-ზე შეუძლიათ დააგროვონ 5-7 კგ აზოტი, ხოლო პარკოსანთა ფესვებზე მცხოვრებ კოჟრის ბაქტერიებს – 100-200 კგ/ჰა. სამყურა აგროვებს 160-170 კგ, იონჯა – 250-300 კგ; სოია – 100 კგ, ლობიო, ცერცველა – 70-80 კილოგრამს.

რა თქმა უნდა ნიადაგის აზოტით გამდიდრების ეს წყაროები საკმარისი არა არის მოსავლით გატანილი, ასევე დენიტრიფიკაციით და ჩარეცხვით დაკარგული აზოტის რაოდენობის შესავსებად.

ამიტომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის ერთადერთ სწორ გზას სიდერატებად პარკოსანი ბალახების თესვა და მინერალურ-ორგანული სასუქების გამოყენება-შეთანაწყობა წარმოადგენს.

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ №5

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86